



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**თემა: დაპატიმრება - როგორც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე
მკაცრი სახე**

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი:

ლიკა მაზანიშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი

პროფესორი:

ვენელი ბენიძე

2019 თბილისი

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
თავი I ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა.....	7
თავი II პრობლემის კვლევა/ანალიზი	10
2.1. ალკვეთის ღონისძიებათა სისტემა	Error! Bookmark not defined.
2.1.1. გამოყენების მიზანი და საფუძველი თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში	Error! Bookmark not defined.
2.1.2. პროცესის მწარმოებელი ორგანო	16
2.2. დაპატიმრება, როგორც ალკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე.....	19
2.2.1. დაპატიმრების ცნება	20
2.2.2. დაპატიმრების ვადები.....	28
2.2.3. არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენების ვადები.....	36
2.3. დაპატიმრების, როგორც ალკვეთის ღონისძიების გამოყენების ეფექტურობის პრობლემა.....	40
2.3.1. სასამართლო პრაქტიკა	50
თავი III კვლევის შედეგები.....	55
დასკვნა.....	57
გამოყენებული ლიტერატურა.....	59

ანოტაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ალკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ სახეს - პატიმრობას. ნაშრომში განხილულია პატიმრობის გამოყენების კანონიერი საფუძვლები, მისი გამოყენების ვადები. ალკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების პროცედურები. ასევე გამოკვეთილია არასრულწლოვანთა მიმართ ალკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცესუალური ასპექტები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალის, სამი ძირითადი თავის, შვიდი პარაგრაფის და დასკვნისაგან. მასში განხილულია დასახული პრობლემები, კვლევის ანალიზი და გამოკვეთილია კვლევის შედეგები. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და მთლიანობაში შეადგენს თაბახზე ნაბეჭდ 59 გვერდს.

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურის მიმოხილვას, რომელსაც გავეცანი თემის სრულყოფისთვის. მეორე თავში საუბარია ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძვლებზე. ქვეთავებში განხილულია პატიმრობის ზოგადი მიმოხილვა, ცნება და ვადები. აქვე ყურადღება გამახვილებულია პატიმრობის გამოყენების პროცესუალურ ასპექტებზე არასრულწლოვან ბრალდებულებში. შესწავლილი და განხილულია სასამართლო პრაქტიკაც. მესამე თავში შეჯამებულია კვლევის ანალიზიდან გამომდინარე შედეგები. საბოლოო ჯამში კი დასკვნის სახით მოცემულია შეფასებები და გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია.

Annotation

The master's thesis that I present, is about one of the most severe preventive measure – imprisonment. In thesis I discuss legal basis and terms of using imprisonment, procedures of changing or canceling preventive measure. Also, procedural aspects using preventive measure against juveniles is outlined.

The master,s thesis is consists of introduction, 3 main chapters, 7 paragraphs and conclusion. I discuss problems set, research analysis and research results. The thesis is attached with the list of used literature and in total it is 59 printed pages.

The first chapter of the thesis includes overview of every important literary work, that I read to make my work perfect. In the second chapter, I talk about goals and basis of preventive measure. In subchapters I discuss the general overview, concepts and terms of imprisonment. Also, court practice is earned and reviewed. In chapter three, the research results are summarized. In the end, as a conclusion, assessments are given and several recommendations are issued.

შესავალი

აღკვეთის ღონისძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია სასამართლო სისტემაში. სწორედ ამ ეტაპზე ხდება ბრალდებულის და სასამართლოს პირველი კონტაქტი. ამ პერიოდის განმავლობაში სასამართლო არსებითად არ იხილავს საქმეს, მაგრამ მსჯელობს გამოძიების დასრულებამდე იმ პირის შესახებ რომელსაც ბრალი აქვს წარდგენილი, რათა მოხდეს მისი სათანადო ქცევის განსაზღვრა, კერძოდ აღკვეთის ღონისძიების თუ რომელი სახეა საჭირო.¹

თემის აქტუალობა - აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში ყოველთვის წარმოადგენდა განხილვის საგანს. შესაბამისად აქტუალობა არც თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში დაუკარგავს. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეფარდებისას მისი კანონიერება ან უკანონობა დღეის მდგომარეობით აქტუალობის პიკს აღწევს. განსაკუთრებით პრობლემურია პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი სახე. სწორედ აღნიშნულ საკითხს შეეხება ჩემი ნაშრომი.

საზოგადოებაში ყოველთვის არის ინტერესი თუ რის საფუძველზე ხდება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ან პატიმრობიდან გათავისუფლება. მაშინ როდესაც შეიძლება ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში ბრალდებული დატოვონ პატიმრობაში, ხოლო მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შეეცვალოს აღკვეთის ღონისძიების სახე უფრო მსუბუქი სახით და ბრალდებული გაათავისუფლონ სასამართლო დარბაზიდან. პრაქტიკაში აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო რთულად არის, რადგანაც პატიმრობის გამოყენების საფუძველი ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ არის სახეზე, თუმცა

¹ადვოკატი გ. ანთაძე, 26.04.2018. <https://4u.ge> გადამოწმებულია 15.05.2019

სასამართლო მაინც უფარდებს ბრალდებულს პატიმრობას. რის შესაბამისადაც ირღვევა მისი უფლებები. გარდა ამისა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სახით პატიმრობის შეფარდება კიდევ უფრო საყურადღებოა არასრულწლოვნებში. განსაკუთრებით მაშინ თუ უკანონოდ ხდება მისი პატიმრობაში დატოვება. ვინაიდან პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის შემდგომი რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია საკმაოდ რთულად მიმდინარეობს.

დასახული მიზნები - ჩემს მიერ წარმოდგენილი თემის მიზანია პირველ რიგში გამოიკვეთოს თუ რა პრობლემის წინაშე ვდგავართ პატიმრობასთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს განრიდება მედიაციის პროგრამას, რამდენად სწორი მიდგომაა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება და რამდენად ეხმარება სასამართლოს საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე მსჯელობის საგანს წარმოადგენს რამდენად შესაბამისობაშია აღნიშნული ქმედება საქართველოს კონსტიტუციასთან და ასეთ ვითარებაში ხომ არ იზღუდება პირის უფლებებები. თემის ერთ-ერთი მიზანია საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გაანალიზება. რამდენად სამართლიანია პირს შეუზღუდო თავისუფლება კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

ამოცანები - იმისთვის რომ დასახული მიზნები განხორციელდეს და შედეგი მივიღოთ საჭიროა სწორი მიდგომა და აუცილებელია გადაიჭრას შემდეგი ამოცანები.

- აღკვეთის ღონისძიების როლი სისხლის სამართლის პროცესში
- აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და საფუძველი
- პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი სახის გამოჯენა სხვა აღკვეთის ღონისძიებებისგან
- პატიმრობის დანიშვნის საფუძველი და მისი გამოყენების ეფექტურობის პრობლემა
- არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენების პროცესუალური ასპექტები

- სასამართლო პრაქტიკის ანალიზი
- სტატისტიკური კვლევის ანალიზი

კვლევის მეთოდები - იმისთვის რომ ზემოთ აღნიშნული მიზნები სისრულეში მოვიყვანოთ და გადავჭრათ ყველა ის ამოცანა რომელიც დავსახეთ საჭიროა სხვადასხვა კვლევის მეთოდების გამოყენება. ამ შეთხვევაში ნაშრომში გამოყენებულია როგორც ისტორიული მეთოდი, ასევე შედარებითი და სტატისტიკური მეთოდი, გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა.

თავი I ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

აღკვეთის ღონისძიებებს სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრია. შესაბამისად ძალიან ხშირად ხდება განხილვის საგანი. განსაკუთრებით საყურადღებო და აქტუალურია აღკვეთის ღონისძიების ისეთი სახე, როგორიც არის - პატიმრობა, იგი ყველაზე მკაცრი ღონისძიებაა აღკვეთის ღონისძიებებს შორის და შესაბამისად მისი გამოყენება განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს უამრავი სხვადასხვა მოსაზრებები პატიმრობის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. სწორედ მისმა პრობლემურობამ და აქტუალურობამ განაპირობა აღკვეთის ღონისძიებების საკითხთან დაკავშირებით მოგვეძიებინა სხვადასხვა სახის ინფორმაცია და გაგვერკვია თუ როგორ ხდება აღნიშნული პროცედურის გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში.

იმისთვის რომ აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო ნათელი და გასაგები ყოფილიყო, პირველ რიგში შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის სფეროში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მარეგულირებელი ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა.

აღკვეთის ღონისძიების არსი, მისი გამოყენების მიზნები და საფუძვლები, შეცვლა ან გაუქმების შესახებ ინფორმაცია მოვიძიეთ „საქართველოს სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსში“. კერძოდ სსკ-ის 198-ე, 205-ე და 206-ე მუხლებში. კანონის უკეთესად გასაგებად გამოვიყენეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. ნაშრომზე მუშაობის პერიოდში საჭირო გახდა ძველი, 1998 წელს მიღებული საპროცესო კანონმდებლობის შედარება ახალთან, ვინაიდან რიგი ცვლილებები იყო განხორციელებული პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ვინაიდან ჩვენს ქვეყნის კანონმდებლობაში იერარქიულად ყველაზე მაღლა დგას „საქართველოს კონსტიტუცია“, გავანალიზეთ ის მუხლები, რომლებიც არეგულირებს პატიმრობის გამოყენებას და კრძალავს პირის თავისუფლების შეზღუდვას უკანონოდ. აქვე მას დავეუკავშირე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“, რათა გამომეკვეთა რაოდენ მნიშვნელოვანია დაკავებული/დაპატიმრებული პირის უფლებების დაცვა. უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ასევე გავეცანი შტეტვან ტრექსელის... ნაშრომს „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“.

იმისათვის რომ ნათელი გაგვეხადა თუ რა პრობლემებს ვაწყდებით აღკვეთის ღონისძიებების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში და რა თავისებურებები ახასიათებს აღნიშნულ პროცედურას, დეტალურად გავეცანი პროფესორი ვენედი ბენიძის ნაშრომს თემაზე „დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები“. გარდა ამისა საჭიროებისამებრ მოვიძიე სხვადასხვა ავტორების დამოკიდებულება და შეფასებები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თავისებურებების შესახებ. მაგალითად ცნობილი მოსამართლის და იურისტის იური გაბისონიას ნაშრომი „აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში“, ასევე ლალი ფაფიაშვილის და სხვების ავტორობით გამოცემულ ნაშრომს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი“. აქვე ჩემი ყურადღება მიიქცია თუ როგორ რეგულირდებოდა არასრულწლოვან ბრალდებულებთან აღკვეთის ღონისძიების, კერძოდ პატიმრობის გამოყენება. პირველ რიგში აქაც გავეცანი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს“, იმის გასაგებად თუ რა საფუძვლით და რა ვადებით ხდებოდა მათთვის პატიმრობის

შეფარდება. აღნიშნული საკითხის უფრო ფართო გაგებისთვის წავიკითხე მორის შალიკაშვილის ნაშრომი „არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართულ სისხლის სამართლის მიხედვით“ და მორის შალიკაშვილის, გივი მიქანაძის ნაშრომი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“.

იმისათვის რომ პატიმრობის გამოყენება უფრო გასაგები ყოფილიყო და ნათლად დაგვენახა აღნიშნულ საკითხში სად ვანყდებით პრობლემებს გავეცანი ევროსასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ასევე თვალსაჩინოებისთვის ჩემს ნაშრომში გამოვიყენე სააპელაციო სასამართლოს მიერ სხვადასხვა დროს მიღებული გადაწყვეტილებები.

პატიმრობის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით არაერთი კვლევა აქვს ჩატარებული ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. ხარვეზების და პრობლემების გამოსაკვეთად გამოვიყენე მათი კვლევა და რეკომენდაციები. გავეცანი სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებს, კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევას.

ნაშრომის სრულყოფისთვის მოვიძიე 2017 წლის ინფორმაცია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, კონკრეტულად პატიმრობის დანიშვნის მაჩვენებლებზე, რომელსაც თბილისის პროკურატურა ყოველწლიურად აწარმოებს. გარდა ამისა გამოვიყენე რამდენიმე უცხოური ლიტერატურა და ამ ქვეყნების სამართლებრივი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კონკრეტულ საქმეებზე.

თავი II პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1 აღკვეთის ღონისძიებათა სისტემა

ქართულ სისხლის სამართლის პროცესში აღკვეთის ღონისძიებათა სისტემა წლების განმავლობაში ყოველთვის წარმოადგენდა სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთ მნიშველოვან საკითხს. თემა აქტუალობას არც თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში კარგავს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფუნდამენტური პრინციპები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე XX თავის არაერთ მუხლში (196-ე, 197-ე, 198-ე, 199-ე, 200-ე, 202-ე, 203-ე, 204-ე, 205-ე, 206, 207-ე, 208-ე) რაც თავის მხრივ განპირობებულია არღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების მნიშვნელობით და აქტუალობით.²

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას გააჩნია პრევენციულ-უმრუნველმყოფელი ხასიათი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი წარმოადგენს

² ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2003, გვ. 9

მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.³ მისი გამოყენება დაიშვება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან სამართალწარმოების დასრულებამდე, გამონაკლისია გამოძიების ეტაპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე და განაჩენის აღსრულება.⁴

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება პროცესის მწარმოებელი ორგანოს უფლებაა და არა მოვალეობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ მოითხოვს ყველა ბრალდების საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საქმის, ასევე კონკრეტული ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები და არ უნდა ემყარებოდეს გრძნობებს, ინსტიქტებს, წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს.

აღკვეთის ღონისძიება უქმდება, როგორც კი ქრება მისი გამოყენების საჭიროება, ან ხდება მისი შეცვლა (შემსუბუქების/გამკაცრების მიმართულებით).⁵

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეზღუდვა კანონით მკაცრად განწესებული მიზნებითა და საფუძვლით.⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გვაძლევს საშუალებას, რომ გავეცნოთ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც მიზნებს ასევე მის საფუძვლებს.

2.1.1 გამოყენების მიზანი და საფუძველი თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

³ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, კერძო ნაწილი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015, გვ. 558

⁴ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კერძო ნაწილი, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2017, გვ. 257

⁵ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კერძო ნაწილი, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2017, გვ. 257

⁶ საქართველოს იურისტთა ასოციაცია „ხარვეზები და რეკომენტაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“, თბ. 2012. <http://www.nplg.gov.ge> გადამოწმებულია 15.05.2019

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: „აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება“⁷

ხოლო რაც შეეხება მის საფუძველს ამავე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია: „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება, ან არ გამოცხადდება სასამართლოში, განადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.“⁸

ავტორთა ნაწილი თვლის რომ აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომლის გამოყენებაც ყველა შემთხვევაში არ არის რეკომენტირებული და ეფექტური. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ძალიან ბევრი ფაქტორი, ისეთები როგორცაა მაგალითად: ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, რომელმაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიც, რომლებშიც მოიაზრება მისი ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, პროფესიული საქმიანობა, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა. საყურადღებოა ასევე მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა. „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზიანის ანაზღაურება, დანაშაულის აღიარება, თანამშრომლობა გამოძიების ორგანოებთან და სხვა.“⁹ თუმცა თუ აღნიშნულზე ბრალდებული უარს აცხადებს, არ იღებს მონაწილეობას და არ ეხმარება საგამოძიებო ორგანოებს და სასამართლოს, იყენებს დუმილის უფლებას, ეს ფაქტი არ შეიძლება იყოს აღკვეთის ღონისძიების

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2017, მ. 198 <https://matsne.gov.ge>

⁸ იქვე, მ. 198 მე-2 ნაწილი

⁹ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, კერძო ნაწილი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015, გვ. 560-562

გამოყენების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული უფლება ბრალდებულს კანონმდებლობით აქვს მინიჭებული.

აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საფუძველი, როგორც უკვე ავლნიშნე შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული:

- მიიმალება;
- არ გამოცხადდება სასამართლოში;
- გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- ჩაიდებს ახალ დანაშაულს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი თუ რა გარემოებები შეიძლება ასაბუთებდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველების არსებობას:

ბრალდებულის მიმალვის ან არგამოცხადების ვარაუდი შეიძლება იყოს, რომ იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავს არიდებდა გამოძიებას ან სასამართლოს; ცდილობდა დაკავების მომენტში გაქცევას და ჰქონდა მიმალვის მცდელობა. ასევე თუ მას წინათ უკვე ჰქონდა სხვა დანაშაულზე დანიშნული აღკვეთის ღონისძიება და დაარღვია; თუ ბრალდებული ადრე ნასამართლევა და იმ საქმეზე ადრე გამოძიებას ემალებოდა; ასევე საყურადღებოა სხვა გარემოებებიც, (მაგალითად: ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ხასიათი, შინაარსი, ბრალდებულის როლი ამ ქმედებაში და სხვა) რომლებიც ასაბუთებენ ალბათობის მაღალი ხარისხით, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში. მიმალვის საფრთხე არარელევანტურია, როდესაც ბრალდებული თავს არ არიდებს გამოძიებას, მაქსიმალურად ჩართულია გამოძიების პროცესში, ყოველთვის ცხადდება სასამართლოში და არ ჩაუდენია ახალი დანაშაული.

საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების, პროცესის მონაწილეებზე დამუქრების და ჭეშმარიტების დადგენისთვის ნებისმიერი ხელის შეშლის ვარაუდი შეიძლება დასაბუთებული იყოს იმით, რომ: არსებობს მტკიცებულებები (დადგენილი ფაქტი) რომ ბრალდებული გავლენას ახდენდა, ან ცდილობდა გავლენა მოეხდინა პროცესის მონაწილე პირებზე (მოწმე,

დაზარალებული, ექსპერტი და სხვა) საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საზიანოდ. ასევე, თუ იგი პროცესის მონაწილე პირებს დაემუქრა რაიმე სახით, მაგალითად მიეცათ ცრუ ჩვენება, ან ჰქონდა ამის მცდელობა; თუ არსებობს მტკიცებულებები, რომ ბრალდებულმა გაანადგურა ან ცდილობდა გაენადგურებინა საქმისთვის მნიშვნელოვანი მასალები; თუ დაკავებისას ცდილობდა წაეშალა კვალი, გაექრო ყველა ის მტკიცებულება რომელიც მის დანაშაულში მხილებისთვის დაეხმარებოდათ საგამოძიებო ორგანოებს; თუ იგი ნასამართლევა და იმ საქმეზე ჰქონდა მტკიცებულების მოსპობის ან საქმისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის განადგურების მცდელობა. მტკიცებულების განადგურების საფრთხე კლებულობს იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ საქმეზე ჩატარებულია ყველა საგამოძიებო მოქმედება, მოპოვებული და დამაგრებულია საქმეში არსებული ყველა მთავარი მტკიცებულება, ყველა მოწმე დაკითხულია და მინიმალურია მათზე რაიმე სახით ზემოქმედების რისკი.

ახალი დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდი შეიძლება დასაბუთებული იყოს მაგალითად იმით რომ ბრალდებული წარსულში ნასამართლევა, თუმცა არ შეიძლება გადანყვადილება ამა თუ იმ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხოლოდ ამ საფუძველს ემყარებოდეს. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს თუ რა დანაშაულისთვის იყო ბრალდებული ნასამართლევი (გაუფრთხილებლობითი, განზრახი და სხვა) და ამჯერად რა დანაშაულში ედება ბრალი. ასევე თუ ბრალდებულის მიმართ პარალელურად მიმდინარეობდა სხვა საქმის წარმოება და მას ამ პერიოდში ბრალი დაედო ახალი დანაშაულის ჩადენაში. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე შესაძლებელია გამომდინარეობდეს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან, მისი წარსულიდან, მისთვის შერაცხული დანაშაულის ხასიათიდან და სხვა.¹⁰ თითოეული აღკვეთის ღონისძიების, როგორც საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება მიმართულია დანაშაულის სწრაფად და ეფექტური გახსნის მიზნების

¹⁰ ო. ჯორბენაძე, წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები, (ნაწილი პირველი), თბ., გამომც., „ლეო“, 2016, გვ. 53-57

მისაღწევად. ვინაიდან პირი, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს აუცილებლად უნდა იქნეს სამართლიანად დასჯილი და არც ერთი უდანაშაულო პირი არ უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი დაპატიმრების - როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი სახის გამოყენების თავისებურებების შესწავლა.

იურიდიულ ლიტერატურაში აღკვეთის ღონისძიებებზე არსებობს სხვადასხვა შეხედულებები. პროფესორი ვენედი ბენიძე თავის ნაშრომში „დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები“ განიხილავს სხვადასხვა ავტორების მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ავტორთა ერთი ნაწილი თვლის რომ აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება მიზნად ისახავს ბრალდებულის საზოგადოებისგან დაუყოვნებლივ იზოლაციას. მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა ბოროტად არ გამოიყენოს საკუთარი უფლებები. ხოლო მესამე ნაწილი თვლის, რომ ბრალდებულის დაკავება-დაპატიმრებამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება დადებითი როლი ითამაშოს მომავალში მსჯავრდებულის აღზრდასა და გამოსწორებაში.

გამოთქმულ მოსაზრებებს ამავე ნაშრომში აკრიტიკებს თავად ავტორი. ის მიიჩნევს რომ აღკვეთის ღონისძიების მიზანი მხოლოდ აღმზრდელობითი არ შეიძლება იყოს, „ვინაიდან, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ პირის აღზრდაზე, თუ სასამართლო განაჩენით ჯერ კიდევ არ არის დადგენილი დანაშაულის ჩადენის ფაქტი.“ ასევე აკრიტიკებს იმ ავტორების მოსაზრებასაც რომლებიც მიიჩნევენ რომ „თითქოსდა დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა ბოროტად არ გამოიყენოს საკუთარი უფლებები.“¹¹

აღნიშნულ მოსაზრებებს ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში ყოფნა, საზოგადოების ნაწილისგან მონყვეტა, ახლობლების ოჯახის წევრებისგან შორს ყოფნა ვერანაირად ვერ იქნება ეფექტური საშუალება და ხელს ვერ შეუწყობს აღზრდაში და გამოსწორებაში.

¹¹ ვ. ბენიძე. დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003, გვ. 14-16.

პირიქით ჩაკეტილმა სივრცემ, გარესამყარისგან მოწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის უფრო რთულ სიტუაციაში ჩავარდნა, რაც გამოიხატება პრობლემებში, როგორც ფიზიკური ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. იმის ნაცვლად რომ მიხვდეს საკუთარ დანაშაულს და ეს ფაქტი დაეხმაროს შემდეგში გამოსწორებაში შეიძლება აღნიშნულმა გარემომ გააბოროტოს და უბიძგოს ახალი დანაშაულის ჩადენისკენ. გარდა ამისა არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ჩაკეტილ პირობებში მყოფმა ბრალდებულმა ვერ გაუძლოს და „აღიაროს“ ის დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია. რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის კონვენციასთან, რომელიც გამსჭვალულია უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვის და სხვა ნებისმიერი სულისკვეთებით სამართლებრივ აქტთან.

2.1.2. პროცესის მწარმოებელი ორგანო

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენების (შერჩევის) თაობაზე საამისოდ უფლებამოსილ სასამართლოში შუამდგომლობის შეტანა, მისი განსახილველად მომზადება და სასამართლო სხდომაზე განხილვა, ბუნებრივია, წარმოებს გარკვეული წესების დაცვით.“¹²

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრანტ მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება ბრალდებულის მიმართ გადაწყვიტოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი. აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ პროკურორს, თუ პროკურორი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს, როგორც გამომძიებელი, შუამდგომლობის შეტანით სარგებლობს, როგორც საპროცესო ხელმძღვანელი ასევე ნებისმიერი ზემდგომი პროკურორი. „დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა, პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ

¹²ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003, გვ. 76.

მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუ შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინა მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.¹³ აღნიშნულს ეხმაურება ასევე რომის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ მე 5 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის შესაბამისად „დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება, უნდა ჰქონდეს მისი საქმე, განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში.“¹⁴

აღკვეთის ღონისძიებათა სასამართლო გამოყენების სასამართლო წესი უცხო არ ყოფილა სისხლის სამართლის პროცესისთვის. ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული სხვადასხვა იურიდიულ წყაროებში არსებობს უამრავი მოსაზრებები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სასამართლო წესის აუცილებლობის შესახებ.

შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობა. შუამდგომლობა განხილული და გადაწყვეტილი უნდა იყოს არა უგვიანეს შუამდგომლობის სასამართლოში შეტანიდან 24 საათისა. სწორედ ამ ვადაში უნდა დამთავრდეს არა მარტო შუამდგომლობის განხილვა, არამედ ამავე ვადაში უნდა გამოცხადდეს გადაწყვეტილება. 24 საათიანი ვადის გასვლის დარღვევა იწვევს დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. აღნიშნულს ამყარებს საქართველოს კონსტიტუციის მე 18 მუხლის მე 3 ნაწილიც, რომელიც გულისხმობს: „დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან

¹³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 196 <https://matsne.gov.ge>

¹⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია „რომი 1950 წლის 4 ნოემბერი“ 1994, მ. 5 <https://matsne.gov.ge>

თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.¹⁵ გამოძიების ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების შესახებ სასამართლო განჩინების განზოგადება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების, ასევე, ამ საკითზე, ზოგადად ევროსასამართლოს პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს რომ სახეზეა რამდენიმე პრობლემა.

პრაქტიკის განზოგადებით გამოიკვეთა რომ თითქმის უმეტეს შემთხვევაში დაპატიმრების მოთხოვნის დროს არ ხდება მისი განმარტება და მხოლოდ კანონიდან ციტირებენ. მაგალითად: დაპატიმრების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა „დასაბუთებულია“ შემდეგნაირად: „აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოს, აღკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ზემოაღნიშნული მიზნების უზრუნველყოფა კი შეუძლებელია დაპატიმრებაზე მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით.“¹⁶

ასეთი დასაბუთება თავის მხრივ არ არის სწორი და ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, ასევე ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედ საერთაშორისო აქტებს, საქართველოს კონსტიტუციას და ევროსასამართლოს პრაქტიკას, ვინაიდან ასეთი დასაბუთება მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ კანონიდან ტექსტის გადმოწერას. ეს კი ვერანაირად ვერ მოგვცემს იმის დასაბუთებას, თუ რატომ არის აუცილებელი ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება და რა შედეგს მოგვცემს. იმისთვის რომ პროკურორის შუამდგომლობა იყოს დასაბუთებული უფრო სწორი მიდგომაა თუ შუამდგომლობაში მითითებული იქნება კონკრეტული ფაქტები, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, შესწავლილი იქნება ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები.

¹⁵ საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995წ. მ. 18 <https://matsne.gov.ge>

¹⁶ ო. ჯორბენაძე, წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები, (ნაწილი პირველი), თბ., გამომც., „ლეო“, 2016, გვ. 17-20.

ხაზგასმისთ უნდა იყოს გამახვილებული ყურადღება არსებობს თუ არა კონკრეტული საფრთხე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის არ დანიშვნის შემთხვევაში, რომ ბრალდებული მიიმალება, ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ან რაიმე სახით ზემოქმედებას მოახდენს პროცესის სხვა მონაწილეებზე. ეს ყოველივე უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებზე დაყრდნობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უკვე ავღნიშნე იქნება მხოლოდ კანონიდან ციტირება, რაც არ გვაძლევს საფუძველს ბრალდებულის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული იქნას პატიმრობა, რომელიც როგორც აღინიშნა აღკვეთის ღონისძიებებს შორის ყველაზე მკაცრ ღონისძიებას წარმოადგენს.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების საკითხს იხილავს ერთი მოსამართლე, ხოლო ამ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოაქვს სხვა მოსამართლეს. ვინაიდან წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიან) არა უგვიანეს 60 დღისა. სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობის განხილვის პროცესში დაყენებული ყველა შუამდგომლობა გადაწყვიტოს ადგილზე თათბირით, ასევე მას აქვს უფლებამოსილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად გავიდეს სათათბირო ოთახში, თუ ეს აუცილებლად მიაჩნია. თუ მოსამართლე საჭიროდ ჩათვლის რომ აღნიშნულ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სათათბირო ოთახში გასვლა, მაშინ მან აღნიშნულ შუამდგომლობაზე უნდა შეადგინოს მთლიანი დასაბუთებული გადაწყვეტილება, ხოლო ადგილზე თათბირის შემთხვევაში აცხადებს მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.¹⁷

2.2. დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი

სახე

¹⁷ ო. ჯორბენაძე, წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები, (ნაწილი პირველი), თბ., გამომც. „ლეო“, 2016, გვ. 21-34

დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების რამდენი სახეს. ესენია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა.¹⁸

პატიმრობა აღკვეთის ღონისძიებებს შორის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაა. იგი არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და არ ატარებს სადამსჯელო ხასიათს. პატიმრობა პრევენციული ღონისძიებაა, რომლის მიზანია ახალი ზიანის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, ხელის შეშლის პრევენცია და არა პირის დასჯა.¹⁹

აღკვეთის ღონისძიებები განსხვავებულია უშუალო მიზნების, მათი რეალიზაციაში გარეშე პირთა მონაწილეობის, ბრალდებულის უფლებების შეზღუდვის ინტენსივობის, სპეციალური სუბიექტის მიხედვით და ა.შ.

„აღკვეთის ღონისძიებები იყოფა ფიზიკური იძულების და ფსიქოლოგიური იძულების ღონისძიებებად. ფიზიკური იძულების ღონისძიებები ფიზიკურად ზღუდავს ბრალდებულის პირად თავისუფლებას საზოგადოებისგან მისი იზოლაციის გზით. ასეთი იძულების ღონისძიებაა, პატიმრობა. სასამართლოს მიერ ამ ღონისძიების გამოყენება არ საჭიროებს არავის თანხმობას და მისი სიმძიმედან გამომდინარე კანონმდებლობა ადგენს მისი გამოყენების ზღვრულ ხანგრძლივობას.“²⁰

აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, ასაკს, ჯანმრთელობას, მის საქმიანობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

2.2.1. დაპატიმრების ცნება

¹⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 199 <https://matsne.gov.ge>

¹⁹ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2017, გვ. 312-313

²⁰ იქვე, გვ. 259

„აღკვეთის ღონისძიების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი სახე დაპატიმრებაა (დაპატიმრება ლათინური სიტყვაა, „არესტუმ“ ნიშნავს სასამართლო დადგენილებას. რაც შეეხება დაპატიმრების ცნების სამართლებრივ განმარტებას, ასეთს ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს. მეტად მწირია ამ მიმართებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურაც.“²¹

„დაპატიმრების, როგორც აღკვეთის ღონისძიების ცნების განმარტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე „არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების“ ანუ, როგორც მას უწოდებენ „პეკინური წესების“ მე-13.1 მუხლის ფუნდამენტალურ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ „სასამართლომდე დაპატიმრება წარმოადგენს უკიდურეს ზომას და ხორციელდება ხანმოკლე დროით“.²²

აღნიშნულ შემთხვევაში არც „პეკინური წესების“ ეს განმარტება გვაძლევს დაპატიმრების ცნების განმარტებას ვინაიდან აქ ძირითადად ორ მნიშვნელოვან საკითხზეა ყურადღება გამახვილებული. პირველი ის რომ დაპატიმრება წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების უკიდურეს ზომას და მეორე არის ის რომ მისი დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ ხანმოკლე ვადით. „აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრებულად ითვლება პირი არა მხოლოდ სასამართლომდე, ანუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, არამედ სასამართლოშიც, კერძოდ: სამართალში მიცემის, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდში.“²³

პრაქტიკოს იურისტთა ერთი ნაწილი თვლის რომ დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე ყველაზე ეფექტური საშუალებაა მიზნების მისაღწევად. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად ვენედი ბენიძე თავის ნაშრომში „დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები“ იყენებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ

²¹ ვ. ბენიძე. დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003, გვ. 33.

²² იქვე, გვ. 33

²³ იქვე, გვ. 34-35

გამოცემული ყოველწლიური ოფიციალური სტატისტიკური კრებულიდან მონაცემებს, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შეტანილ შუამდგომლობებს 2000 წლიდან 2002 წლის ჩათვლით. „(2000 წელს შეტანილი იყო 6918 შუამდგომლობა, აქედან დაკმაყოფილდა 5914, 2001 წელს შეტანილი იყო 5577 შუამდგომლობა, დაკმაყოფილდა 4621, 2002 წელს - 5507, დაკმაყოფილდა 4518, ე.ი სულ შეტანილია 18002 შუამდგომლობა, აქედან დაკმაყოფილდა 15053, ანუ 86%)“²⁴ რაც თავის მხრივ ხაზს უსვავს რომ მიუხედავად იმისა შეტანილი შუამდგომლობების რიცხვი ყოველ წელს კლებულობს, თუმცა პატიმრობის გამოყენება კვლავაც საკმაოდ მაღალია.

საქართველოს 1998 წელს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის მე-3 ნაწილში ვკითხულობთ: „დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლით ან მეტი ვადით. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება, როგორც წესი არ გამოიყენება, მძიმე ავადმყოფის, არასრულწლოვნის, ხანდაზმულის (ქალები 60 წლიდან, მამაკაცები 65 წლიდან), 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული ქალისა და იმ ქალის მიმართ რომელსაც ჰყავს ჩვილი. (ერთ წლამდე ასაკის ბავშვი), აგრეთვე არ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3 წლით ან მეტი ვადით. დაპატიმრება გამოიყენება ასევე ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. დაპატიმრება გამოიყენება აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელსაც თუმცა ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია, თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით, მაგრამ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი

²⁴ ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2003, გვ. 35-36.

ვადა არ იყო გასული.²⁵ პატიმრობის გამოყენების ამგვარ განმარტებას აღარ ცნობს დღეის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. იგი არ ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს და არც მძიმე ავადმყოფობა, ხანდაზმულობა, არასრულწლოვნება ავტომატურად არ გამოორიყხავს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას. განმარტავს მხოლოდ 4 მნიშვნელოვან საფუძველს რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პატიმრობის დანიშვნის დროს. დღეის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის 1 ნაწილში ვკითხულობთ: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;

გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.“²⁶

ერთის მხივ ახალმა კანონმა უფრო გაამარტივა აღნიშნული პროცედურა, რადგანაც რაც არ უნდა მძიმე დანაშაულის ჩადენაში იყოს პირი ბრალდებულად ცნობილი თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველები არ აქვს უფლება სასამართლოს დანიშნოს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა. ეს მიდგომა პრაქტიკული კუთხით უფრო სწორია, რადგანაც თუ არ არსებობს ბრალდებულის მიმალვის, გამოძიებისთვის ხელის შეშლის და ახალი დანაშაულის ჩადენის საფუძველი, მაშინ რატომ უნდა შევუბღუდოთ პირს თავისუფლება, როდესაც მისი სასამართლოს გარეთ ყოფნის შემთხვევაშიც კონკრეტულ საქმეზე აუცილებლად დადგინდება ჭეშმარიტება და არსებითად ბრალდებულის პატიმრობის გარეთ ყოფნა არ შეუშლის ხელს გამოძიებას. თუმცაღა აღნიშნულ საკითხს მეორე მხრიდან რომ შევხედოთ პრაქტიკაში ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრობა ინიშნება ამ საფუძველის არარსებობის გარეშე. რაც თავის მხრივ კანონთან წინააღმდეგობაში მოდის. ერთ-ერთ მთავარ პრობლემას სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს. თავისუფლების შეზღუდვა ნებისმიერ შემთხვევაში არის

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. თბ., 1998წ, მ. 159 <https://matsne.gov.ge>

²⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ., 2009 წ, მ. 205 <https://matsne.gov.ge>

არასასიამოვნო, მაგრამ განსაკუთრებით არასასიამოვნო ხდება თუ დაპატიმრება აღმოჩნდება არაკანონიერი. აღნიშნულთან დაკავშირებით შტეფან ტრექსელი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ განმარტავს, რომ „პირისთვის თავისუფლების აღკვეთა არც ერთ შემთხვევაში არ შეესაბამება კონვენციას, თუ ის უკანონოა. სასამართლო მუდმივად იყენებს ერთსა და იმავე სტანდარტულ ფორმულირებას: სასამართლო იხსენებს, რომ გამონათქვამები „კანონიერი“ და „კანონიოთ განსაზღვრული წესის შესაბამისად“... უბრუნდება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას და ადგენს მატერიალური და საპროცესო ნორმების დაცვის ვალდებულებას. თუმცა დაპატიმრების „კანონიერება“ შიდასახელმწიფოებრივი კანონის საფუძველზე ყოველთვის არ არის გადამწყვეტი ელენემენტი. სასამართლო დამატებით უნდა დარწმუნდეს, რომ თავისუფლების აღკვეთა შეესაბამებოდა მე-5 მუხლის მიზნებს, რაც გულისხმობს ადამიანის დაცვას თვითნებური თავისუფლების აღკვეთისგან. სასამართლომ ასევე უნდა განსაზღვროს შიდასახელმწიფოებრივი კანონი შეესაბამება თუ არა კონვენციას, მათ შორის, მასში გამოხატულ და ნაგულისხმებ ზოგად პრინციპებს.“²⁷ პირის თავისუფლების შეზღუდვა ნებისმიერ შემთხვევაში განმარტებული უნდა იყოს უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვით. სწორედ უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვის ფონზე მხოლოდ ეჭვის არსებობა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ, ვერ გადაწონის თავისუფლების შეზღუდვას, სანამ უტყუარი, რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით არ იქნება დადასტურებული თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა და გარდაუვალობა.²⁸

აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენებას განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ არასრულწლოვანთა მიმართ, რადგან აქ შეცდომების დაშვება გამორიცხულია. შესაძლებელია ისეთი შეცდომა იქნეს დაშვებული, რომ მომავალში გამოუსწორებელიც კი აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ საპროცესო კანონმდებლობა რამდენიმე განსხვავებულ პირობებს აყენებს იმ

²⁷ შტეფან ტრექსელი. სარა ჯ. სამერსის დახმარებით „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბ. 2010, გვ. 476-477.

²⁸ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა <http://ewmi-prolog.org> გადამოწმებულია 16.05.2019

არასრულწლოვან ბრალდებულების მიმართ, რომელთაც შესაძლებელია შეეფარდოთ პატიმრობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 12 ივნისს, 64-ე მუხლის პირველ ნაწილში მიუთითებს რომ „არასრულწლოვანი ბრალდებული მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენება, დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.“²⁹

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მსგავსად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი მიუთითებს, რომ არასრულწლოვნებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახელად პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ ყველაზე უკიდურეს ზომად და სხვა ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება შეუძლებელია მოზარდის პიროვნების, მისი კრიმინალური ენერჯის გამო და ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას.“³⁰ საერთაშორისო სტანდარტებით არასრულწლოვნების მიმართ პატიმრობის (თავისუფლების აღკვეთის) გამოყენება აკრძალული არ არის, თუმცა იგი უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი საშუალება.³¹

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ცოტაა ისეთი მუხლები რომელთა დარღვევისთვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს თავისუფლების

²⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი თბ., 2015 წ. მ. 64 <https://matsne.gov.ge>

³⁰ მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გვ. 23 <http://www.dgstz.de/storage/documents/>

³¹ მ. შალიკაშვილის, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ. 2016, გვ. 83.

აღკვეთას, ასეთ მუხლებზე ძირითადად ხდება განრიდება ან განრიდება მედიაციის პროგრამის გამოოყენება. გაუმართლებელია დანაშაულის სიმძიმის გამო არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვის საფუძვლის არგუმენტირებულობა თუ კონკრეტული მტკიცებულებები არ არსებობს რომ ბრალდებული მოსალოდნელ სასჯელს შეუშინდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მიმალვა.³²

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 31 დეკემბერს განიხილა შუამდგომლობა არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ბრალდების მხარის მტკიცებით, არასრულწლოვანმა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე პოლიციას არ მიანოდა ინფორმაცია, იგი თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, ხოლო პატიმრობის გამოყენებლობის შემთხვევაში ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადებლობის, მონშეებზე ზემოქმედების და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. სასამართლომ ჩათვალა, რომ „ბრალდებულის მიერ საცხოვრებელი მისამართის შეცვლა ვერ ჩაითვლება მიმალვად, ხოლო სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ ინფორმაცია საქმეში არ დევს“. აქედან გამომდინარე სასამართლომ შეათვალა გარემოებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი.

ასევე ერთ-ერთ საქმეში არასრულწლოვანს, რომელსაც ბრალი ედებოდა სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ბრალდების მხარის საჩივრის მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის ერთ-ერთი საფუძველი სასჯელის სიმკაცრის შიშით მიმალვის აღბათობა იყო. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული საჩივარი და განმარტა: „აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ბრალდებული არასრულწლოვანია, არის 17 წლის, რაც ნიშნავს, რომ იგი მყარად არის დამოკიდებული ოჯახზე როგორც ფინანსურად, ისე ემოციურად და მიმალვა პასუხისმგებლობის თავიდან არიდების პარალელურად ნიშნავს, რომ

³² მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართულ სისხლის სამართლის მიხედვით გვ. 24-25 <http://www.dgstz.de/storage/documents>

არასრულწლოვანმა დატოვოს დედა, მამა, სახლი, განერიდოს ოჯახურ პირობებს და სიყვარულს, რაც არ არის ადვილი არც ემოციურად და არც ფიზიკურად. შესაბამისად, მხოლოდ მკაცრი სასჯელი, ასეთ მოცემულობაში არ შეიძლება იყოს მიმალვის საფრთხის შესაფასებლად საკმარისი გარემოება.³³

სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია გარემო პირობებზე, კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ისინი გასაკუთრებით მგრძობიარეები არიან და ხშირ შემთხვევაში სრულწლოვანი დამნაშავეებისგან განსხვავებით მათ არ შეუძლიათ განსაზღვრონ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ როგორც სახელმწიფომ ასევე საგამოძიებო ორგანოებმა პოზიტიური როლი ითამაშოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობისა და მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით. ამიტომ უნდა ავლნიშნოთ, რომ დაკავება და დაპატიმრება, მართალია სავსებით კანონიერი ქმდებაა, იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც მიაღწიეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება უნდა იყოს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და გამოიყენებოდეს როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა.³⁴

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ რომ საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონმდებლობა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას. უფრო მეტიც სრულწლოვან ბრალდებულებისგან განსხვავებით უამრავი უპირატესობით სარგებლობენ, მათ შორის ერთ-ერთი უპირატესობაა აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის დანიშვნის საერთო ვადები, რომელზეც შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

³³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, =1გ/1635-16, 22.03.2019

³⁴ სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“ 2017. გვ. 109. გადამონშეულია 12.05.2019 <http://library.court.ge>

2.2.2. დაპატიმრების ვადები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლით გათვალისწინებული „პატიმრობა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და არ ატარებს სადამსჯელო ხასიათს. პატიმრობის გამოყენება წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებას, რომლის მიზანია სისხლისამართლებრივი დევნის, ზიანის შემდგომი მიყენების ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია და არა პირის დასჯა. ამიტომ მისი გამოყენება არ უნდა ხდებოდეს არამართლზომიერი მიზნით ან აუცილებელზე ხანგრძლივი ვადით და წარმოადგენდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.“³⁵

ბრალდებულის დაპატიმრება, აღკვეთის ღონისძიებების სხვა სახეებისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით გამოიყენება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილში ვკითხულობთ: „ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ მისი დაკავება არ მომხდარა - ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.“³⁶ აღნიშნულს ეხმიანება საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე 13 მუხლის მე-5 ნაწილში მითითებულია, რომ „ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.“³⁷

გარდა ამისა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს პატიმრობის პირველად მაქსიმალურ ხანგრძლივობას წინასასამართლო სხდომამდე 60 დღეს. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს წინასასამართლო სხდომის გადავადება ან ვადის შემცირება. აღნიშნული შუამდგომლობა აუცილებლად უნდა იყოს მოტივირებული. თუ წინასასამართლო სხდომის გადავადების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ამ

³⁵ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015, გვ. 590.

³⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ., 2009 წ. მ. 205 <https://matsne.gov.ge>

³⁷ საქართველოს კონსტიტუცია თბ., 1995 წ. მ. 13 <https://matsne.gov.ge>

შუამდგომლობის განხილვიდან არა უგვიანეს 72 საათისა, მოსამართლე განიხილავს მხარეების თანდასწრებით პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხს.³⁸

როგორც კანონმდებლობიდან ჩანს კანონი სასამართლოს უწესებს 9 თვიან ვადას, რა პერიოდში უნდა იქნას გამოკვლეული ყველა მტკიცებულება რომელიც მიუთითებს ბრალდებულის დამნაშავეობას ან უდანაშაულობას კონკრეტულ საქმეზე. თუ საქმის სირთულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე ვერ ასწრებს გამოძიების დასრულებას, ან/და სასამართლო ვერ ასწრებს 9 თვიანი ვადის ამონურვამდე განაჩენის დადგენას, პატიმრობის ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. მნიშვნელობა არ აქვს რა ობიექტური მიზეზების გამო შეიძლება მოითხოვოს ბრალდების მხარემ აღნიშნულის ვადის გაგრძელება, მხედველობაში არ მიიღება არც დანაშაულის სიმძიმე, არც სირთულე და არც სხვა რიგი გარემოებები. პატიმრობის 9 თვიანი ვადის ამონურვისთანავე თუ არ იქნება სასამართლოს მიერ დადგენილი გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი საქმეზე ბრალდებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ერთადერთ გამონაკლისს უშვებს საპროცესო კოდექსი რომელიც გულისხმობს პროკურორის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების სახის პატიმრობის შეცვლას სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებად სსსკ-ის 206 მუხლის შესაბამისად. პატიმრობის ვადის გაგრძელება არ უნდა ეფუძნებოდეს ბრალად წაყენებული დანაშაულისათვის მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეს, მისი საჭიროების განსაზღვრის ნაცვლად. ვადის თავიდან ათვლის საფუძველს არ წარმოადგენს საქმეთა გამოყოფა ან გაერთიანება. ასევე თუ ბრალდებულს დაუმძიმდა ბრალი ახალი ეპიზოდის დამატების გზით, ან მოხდა ბრალის დაზუსტება ვადის ათვლა არც ამ შემთხვევაში იწყება თავიდან.³⁹

სასამართლო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება როდესაც აღკვეთის ღონისძიების, კონკრეტულად კი პატიმრობის საკითხს იხილავს, ასევე როდესაც უნდა განიხილოს გადასინჯვის პროცედურები. პატიმრობა მისი ხანგრძლივობის მიუხედავად უნდა

³⁸ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015, გვ. 604-605

³⁹ იქვე. გვ. 606.

იყოს ჯეროვნად დასაბუთებული. სასამართლო კონტროლი პატიმრობის გამოყენებაზე გონივრული პერიოდულობით უნდა ხორციელდებოდეს და არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ როდის მოითხოვს დაპატიმრებული პირი აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის გადასინჯვას: 1) სავალდებულო წესით - ავტომატურად, უწყვეტად და პერიოდულად 2 თვიანი ინტერვალით მოსამართლის ინიციატივით. ასევე სასამართლოს შეუძლია საკუთარი შეხედულებებისამებრ გადასინჯვა განახორციელოს უფრო მცირე ინტერვალებით, მაგალითად 45 დღეში ერთხელ; 2) მხარის შუამდგომლობის საფუძველზე 2 თვიანი ინტერვალებით გადასინჯვა, მოთხოვნისამებრ. მხარეს უფლება აქვს შუამდგომლობა დააყენოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაში მას მოუწევს ამტკიცოს ახალი გარემოების არსებობა. თუ აღნიშნული საფრთხეები, რომლის გამოც აღკვეთის ღონისძიების სახედ ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა ძალას ინარჩუნებს მთელი ამ ვადის განმავლობაში, მაშინ პატიმრობაში დატოვება ლეგიტიმურია სამართალწარმოების მთელი ხანგრძლივობის მანძილზე საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ზღვრული ხანგრძლივობით.⁴⁰

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პატიმრობის 9 თვიანი ვადის გასვლა არ გულისხმობს საქმის წარმოების შეწყვეტას ან ბრალდებულის მიმართ აუცილებელად განაჩენის დადგომას. კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე შესაძლებელია გაგრძელდეს აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგაც და მიმდინარეობდეს რამდენიმე წლის განმავლობაში. მაგრამ თავისუფლება შეზღუდული პირი აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს 9 თვიანი ვადის ამონურვისთანავე და მას საჭიროების შემთხვევაში დაენიშნოს სხვა აღკვეთის ღონისძიება. თუმცა შესაძლებელია საერთოდ აღარ იყოს

⁴⁰ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2015, გვ. 605-607

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძველი და არ იყოს გამოყენებული, თუმცა სამართალწარმოება მის მიმართ მაინც გაგრძელდეს.⁴¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმატიული შინაარსი, აკრძალა პატიმრობის მაქსიმალური ვადით მანიპულირება და ერთიდაიგივე ბრალდებულის მიმართ არაერთგზის პატიმრობის მაქსიმალური ვადის გამოყენება თუ ახალი ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ ბრალდებულს პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის თარგვლებში.⁴²

იმავედროულად, სასამართლომ კონსტიტუციურად და დასაშვებად მიიჩნია ბრალდებული პირის მიმართ პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობით რამდენიმეჯერ გამოყენება. ერთ შემთხვევაში როდესაც პატიმრობა შეფარდებულმა პირმა ჩაიდინა ახალი დანაშაული და რომ არაა უკვე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა, მოსამართლე აუცილებლად გამოიყენებდა მის მიმართ კანონით გათვალისწინებულ ამ უფლებას. მეორე შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ პირს იმ დანაშაულის ჩადენამდე, რომლისთვისაც უკვე დანიშნული აქვს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა, ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც მოსამართლე გამოიყენებდა პატიმრობას, მას უკვე შეფარდებული რომ არ ქონოდა. და მესამე შემთხვევა თუ დადგინდა რომ პირმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რომელი დანაშაულისთვისაც აღკვეთის ღონისძიებად დაენიშნა პატიმრობა, მაგრამ ჯერ არ ქონდა შეფარდებული, ჩაიდინა სხვა ისეთი დანაშაული რომლისთვისაც მოსამართლე აუცილებლად დანიშნავდა პატიმრობას, უკვე გამოყენებული, რომ არ ყოფილიყო და თავდაპირველი პატიმრობის დანიშვნისას ამ დანაშაულის შესახებ გამოძიების ორგანოსათვის ცნობილი არ იყო. პატიმრობის ნებადართული საერთო ჯამური ხანგრძლივობა სამივე შემთხვევაში

⁴¹ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი. კერძო ნაწილი. თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2017, გვ. 316-317

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება №3/2/646.

განსხვავებულია. ძირითადი კრიტერიუმია როდის გახდა გამოძიებისთვის ცნობილი „სხვა“ წინა ან ახალი დანაშაულის ჩადენის ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით ავტორთა კოლექტივი წიგნში „საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი“ თვალსაჩინოებისთვის იყენებს კონკრეტულ მაგალითს. მაგალითად, 2010 წელს ჩადენილი მკვლელობისთვის 2014 წლის 1 იანვარს პირს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა. 2014 წლის 1 ივნისს კი ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას 2011 წელს ჰქონდა ჩადენილი წამება და ამ დანაშაულში ბრალი წაეყენა 2014 წლის 1 ივლისს. ბრალდებულის მიმართ კანონით მინიჭებული 9 თვიანი ვადა წესით იწურება 1 ოქტომბერს. ბრალდების მხარეს უფლება აქვს 30 სექტემბრამდე არ დააყენოს შუამდგომლობა წამების დანაშაულის ფაქტზე პატიმრობის გამოყენების მოთხოვნის შესახებ, მაგრამ 1 ოქტომბერს ამ შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაშიც აღნიშნულ პირს წამების ფაქტთან დაკავშირებით, პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა იქნება არა 9 თვე, არამედ მხოლოდ 6 თვე, რადგანაც დარჩენილი 3 თვის განმავლობაში ბრალდებული ისედაც იმყოფებოდა პატიმრობაში, იმ სამი თვის განმავლობაში გამოძიებას ინფორმაცია უკვე ქონდა წამების სავარაუდო ჩადენის შესახებ და ამ პერიოდში მათ შეეძლოთ დანაშაულის გამოძიება.⁴³

მაგალითის სახით ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას მიმართ სისხლის სამართლის საქმე. გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდება წარდგენილი ქონდა 2014 წლის 28 ივლისს, აღნიშნულ დანაშაულზე პროკურატურის მხრიდან არ იყო მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე, პატიმრობა. ვინაიდან სხვა საქმეზე ის იმყოფებოდა პატიმრობაში. ამ სისხლის სამართლის საქმეზე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის 9 თვიანი ვადა იწურება 2015 წლის 2 აპრილს აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოიშვა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძველი. 2015 წლის 13 მარტს, მთავარი პროკურატურის დადგენილებით დაზუსტდა ბრალის ფაქტობრივი გარემოებები, ასევე შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია.

⁴³ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., გამომც., „მერიდიანი“ 2017, გვ. 317-319

შესაბამისად 2015 წლის 14 მარტს ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. მხარის მოთხოვნა განპირობებული იყო იმ საფუძველით რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ბრალდებულის მიმალვის ან არ გამოცხადების საფუძველი, რომ იგი გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან მასალებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულიადან გაიზიარა საქართველოს მთავარი პროკურატურის მტკიცებულებები და ბრალდებულ გიორგი უგულავას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.⁴⁴ სწორედ ეს კონკრეტული საქმე დაედო საფუძველად საკონსტიტუციო სასამართლოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას.

„როდესაც პირს ბრალი წაყენებული აქვს რამოდენიმე დანაშაულში, ბრალდების მხარეს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა ბრალდებულისთვის შერაცხულ სხვა დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. მნიშვნელობა არ აქვს აღნიშნულ ფაქტზე ბრალის წაყენება განხორციელდა პირველ ბრალდებაში პირის ბრალდებამდე, ბრალდებასთან ერთად თუ ბრალდების შემდეგ; ბრალდების მხარეს დაყენებული ქონდა თუ არა ამ ბრალდებასთან დაკავშირებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის გამოყენების შესახებ შუამდგომლობა.“ პატიმრობამდე ჩადენილი დანაშაულის შესახებ თუ საგამოძიებო სტრუქტურებმა მას შემდეგ გაიგეს როცა პირის მიმართ უკვე შეფარდებული იყო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ახალი ბრალის წაყენების შემთხვევაში პატიმრობის ვადის ათვლა იწყება თავიდან.⁴⁵

სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია განმეორებით დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობა შეფარდებული პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის გამო ბრალის წარდგენა ხოლოვნურად გაჭიანურდა.

⁴⁴ მთავარი პროკურატურის განცხადება <http://pog.gov.ge> გადამოწმებულია 16.05 2019

⁴⁵ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2017, გვ. 319-322

„ბრალდებულის მიმართ, რომელმაც პატიმრობაში ჩაიდინა ახალი დანაშაული პატიმრობის თავიდან გამოყენება დაიშვება, მაგრამ მეორე პატიმრობის ზღვრულ ხანგრძლივობას გამოაკლდება ის ვადა, რამდენ ხანსაც პირი იმყოფებოდა პირველი დანაშაულისთვის პატიმრობაში მეორე დანაშაულისთვის ბრალის წადგენის მომენტიდან. ანუ თუ ბრალდებული ჩაიდენს დანაშაულს თავისუფლების შეზღუდვის ადგილას ყოფნის დროს, დრო მეორე დანაშაულის ჩადენიდან პირველი დანაშაულისთვის პატიმრობის ამონურვამდე, გამოაკლდება ბოლო დანაშაულისთვის პატიმრობის ნებადართულ მაქსიმალურ ხანგრძლივობას (9თვეს).“⁴⁶

ერთი და იგივე პირს შესაძლებელია სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე ერთის მხრივ დანიშნული ქონდეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით და მეორე საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეეთარდოს პატიმრობა. ასეთ სიტუაციაში რათქმაუნდა გასათვალისწინებელია რომელი მოქმედება უსწრებდა წინ. მაგალითად როდესაც წინმსწრებ საქმეზე ბრალდებულს დანიშნული აქვს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა „აღნიშნული ცალსახად გამორიცხავს ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შესაძლებლობას ძებნილი ბრალდებულის დაკავების შემდგომ პერიოდში [ვინაიდან იგი დაკავებისთანავე შესახლებული იქნება პენიტენციურ დაწესებულებაში 5 წლით] და შესაბამისად, იმ საფრთხეებს რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნას.“⁴⁷

როდესაც ბრალდებულს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ეს თავისთავად გულისხმობს იმ მიზნების მიღწევას რასაც აღკვეთის ღონისძიების სახე პატიმრობა მოითხოვს, განსაკუთრებით მაშინ თუ ეს ეხება მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, რადგანაც ბრალდებულის დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა თავისთავად გამორიცხავს მის მიმალვას სხვა საქმის

⁴⁶ ლ. ფაფიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2017, გვ. 319-322

⁴⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21/03/2017 წლის განჩინება №1გ/386-17.

წარმოების პროცესში, ასევე მისი მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას.⁴⁸

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის 9 თვიან ვადასთან დაკავშირებით. ავტორთა ნაწილი ემხრობა 9 თვიან ვადას და ასაბუთებს, რომ 9 თვე საკმარისი დროა საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის. ხოლო ნაწილი მაგალითად: ი. პეტრუხინი თვლის, რომ ეს ვადა უნდა გაიზარდოს 9 დან 18 თვემდე.⁴⁹

ა. სმირნოვი აღნიშნულთან დაკავშირებით ოპტიმალურ ვადათ 6 თვეს მიიჩნევს.⁵⁰

ვ. მიხაილოვი ისეთი კატეგორიის საქმეებისთვის, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახით 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული პატიმრობის ოპტიმალურ ვადად თვლის დროის იმდენ რაოდენობას, რაც საჭირო იქნება გამოძიებისთვის.⁵¹

პროფესორი ვენედი ბენიძე ეხმიანება ამ თემას თავის ნაშრომში და თვლის რომ პატიმრობის მაქსიმალური ვადა უნდა განისაზღვროს 9 დან 12 თვემდე. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს, რთულ მრავალეპიზოდური და მრავალბრალდებული საქმესთან.⁵²

სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე პატიმრობაზეფარდებული მსჯავრდებულის და იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, უარს ამბობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე. მისი მიმალვის და მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის შეუძლებლობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს ვითარებაში არ არის გამორიცხული მოგვიანებით ბრალდებულის შეწყალება, პირობით ვადამდე გათავისუფლება, ამნისტიის გამოყენება და ა.შ.

⁴⁸ იქვე;

⁴⁹ Петрухин И.Л. Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР. Под ред. Савицкого В.Н. М., 1990, с. 99-100.

⁵⁰ Уголовн-процес. кодекс. РСФСР. Комментарии. Санкт-Петербург. 1997. с. 225.

⁵¹ Михайлов В.А. Уголовно-процес. меры пресечения в судопроводстве Р.Ф. М., 1997г. стр. 152.

⁵² ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003 გვ. 54-55

2.2.3. არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენების ვადები

აღკვეთის ღონისძიების სახეთ პატიმრობის გამოყენება, როგორც უკვე ავლინებულა განსხვავებული ვადებით ხდება სრულწლოვან და არასრულწლოვან ბრალდებულებს შორის. პეკინური წესები განმარტავს, რომ „არასრულწლოვანი არის ბავშვი, ან ახალგაზრდა ადამიანი, რომლის მიმართ არსებულ სამართლებრივ სისტემაში შეიძლება გამოიყენებოდეს სრულწლოვნისაგან განსხვავებული წესები დანაშაულის ჩადენის დროს.“⁵³ პატიმრობა არ უნდა გაიგივდეს სასჯელის ფაქტორის მიზანთან, არასრულწლოვანი ბრალდებული იმითომ მოექცა ამ განსაკუთრებული საპროცესო მიზნების ლიბერალურ რეჟიმში, რომ ის სწორედ არასრულწლოვანია და სხვაგვარად აღიქვამს იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას/გარემოებას, ვიდრე სრულწლოვანი. შესაბამისად მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ბრალდებულთან დაკავშირებით კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამოირიცხოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა.⁵⁴

თბილისის სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ „აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა, ყოველთვის მოქცეული უნდა იყოს პრეზუმფციაში, რომ ბრალდებული უნდა იყოს თავისუფალი სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე, აღნიშნული კი როგორც პროკურორს, ისე სასამართლოს ავალდებულებს მხოლოდ საფრთხეების განსაკუთრებული ხარისხის არსებობისას განიხილოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა.“⁵⁵ ქართული კანონმდებლობით არასრულწლოვანი ბრალდებულები უპირატესობით სარგებლობენ, რაც გამოიხატება შემდეგში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მე-4 ნაწილში

⁵³ გაეროს გენერალური ასამბლეა. 1985 წლის 29 ნოემბერი. მინიმალური სტანდარტული წესები, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების მიმართ განხორციელების შესახებ. „პეკინური წესები“ 2.2. <https://www.ohchr.org>

⁵⁴ სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები. თბ. 2017 გვ. 104-105, გადამოწმებულია 12.05.2019 <http://library.court.ge>

⁵⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება =13/1921.

ვკითხულობთ: „არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.“ ასევე აღნიშნული მუხლი განმარტებას აკეთებს არასრულწლოვანი ბრალდებულის უკვე პატიმრობაში ყოფნის დროს წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნის ვადაზე. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 40 დღეს. ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. გარდა ამისა კანონმდებელი სხვადასხვა ვადებს აწესებს არასრულწლოვანი ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების სახეთ პატიმრობის დანიშვნის შემთხვევაში, მისი გადასინჯვის ვადებთან დაკავშირებით. თუ არასრულწლოვანი ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა ამის შესახებ მიმართავენ თუ არა მხარეები სასამართლოს. იგი ვალდებულია 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხი.⁵⁶

„ხანგრძლივ სამართალწარმოებას შეუძლია მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ მოაქციოს არასრულწლოვანი ბრალდებული და გაამძაფროს ბუნდოვან მომავალთან, მსჯავრდების შიშსა და სასჯელის გაურკვეველ სიმძიმესთან დაკავშირებული განცდები.“⁵⁷

აღნიშნული მიდგომები რათქმაუნდა მიმართულია იმისკენ რომ არ დაირღვეს არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები და არ მოხდეს მათი უკანონო პატიმრობაში დატოვება. შესაბამისად დაუშვებელია რაიმე მიზნით იმ საქმის გაჭიანურება, რომელშიც ფიგურირებს არასრულწლოვანი ბრალდებული.

პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის გონივრულ ვადაში სასამართლოს გამართვის საკითხი ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე მნიშვნელოვნად დადასტურდა. ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეზე ასენოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Assenov v. Bulgaria 24760/94 28.10. 1998) სახელმწიფოს მოუწოდა მეტი სიფრთხილის და

⁵⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი თბ., 2015წ. მ. 64 <https://matsne.gov.ge>

⁵⁷ ნ. მჭედლიძე, საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან. თბ., 2017. გვ. 130 გადამოწმებულია 14.05.2019 <https://rm.coe.int/168070a54c>

გულმოდგინეობისაკენ არასრულწლოვნის გონივრულ ვადაში წარდგენის უზრუნველსაყოფად.⁵⁸

ზოგადად უნდა ავლნიშნოთ, რომ პატიმრობა როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი სახე არასრულწლოვნის პიროვნებაზე უარყოფითად მოქმედებს და დაპატიმრებით გამონვეული შოკი გრძელვადიანად აზიანებს მის ფსიქიკას. ასეთ სიტუაციებში ძალიან რთულია შემდგომი მისი რეაბილიტაცია.⁵⁹

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის №1გ/178-15 განჩინებაში მოსამართლე მიროტაძე მოუწოდებს მართლმსაჯულების ორგანოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ იმ საქმეებს, სადაც არასრულწლოვნები მონაწილეობენ, სიფრთხილით შეარჩიონ მათ მიმართ დანიშნული აღკვეთის ღონისძიების სახეები. გამოყენებული იყოს არასრულწლოვანის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი აღკვეთის ის ღონისძიება რომელიც მომავალში სათანადოდ აღზრდისა და მისი საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.⁶⁰

მას შემდეგ რაც ქართულ კანონმდებლობაში დაინერგა ახალი ნოვაცია განრიდება მედიაციის პროგრამა, თითქოსდა შემცირდა არასრულწოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი, თუმცა ჯერჯერობით მაინც არ არის მინიმუმამდე დაყვანილი. ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი აყენებს განრიდებას გამოყენების პირობებს. განრიდებას გამოყენება შესაძლებელია:

- თუ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული;
- თუ არასრულწოვანი ნასამართლევი არ არის;
- თუ იგი განრიდება მედიაციის პროგრამაში არ ყოფილა ჩართული;
- თუ არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს; პროკურორის/სასამართლოს

შინაგანი რწმენით, არასრულწლოვანის ინტერესების გათვალისწინებით

⁵⁸ ასენოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, Assenov v. Bulgaria 24760/94 28.10. 1998)

⁵⁹ მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. თბ., ფრაიბ., სტრას., გამომც., „მერიდიანი“, 2016. გვ. 185

⁶⁰ იქვე. გვ 189.

სისხლისამართლებრივი დევნის დანაშაულის ან გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს;

- თუ არასრულწლოვანი ან მისი წარმომადგენელი თანხმობას განაცხადებენ.⁶¹

სწორედ ამ პირობების გათვალისწინების შედეგად შესაძლებელია განრიდება მედიაციის პროგრამაზე საუბარი. თუმცა არსებობს შემთხვევები როდესაც განრიდება მედიაციის გამოყენება შეუძლებელია, რადგანაც არ აკმაყოფილებს არასრულწლოვანი ბრალდებული აღნიშნულ პირობებს. ასეთ შემთხვევაში თუ არსებობს საფუძველი ინიშნება აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახე. თუმცა არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ძირითად შემთხვევებში თუ არ ხდება არასრულწლოვანი ბრალდებულის განრიდება პროგრამაში ჩართვა ინიშნება პატიმრობა. ცალსახად აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია სწორადაც მივიჩნიოთ. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს როგორცაა მაგალითად განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (სსკ109), გაუპატიურება (სსკ137), წამება (სსკ144¹) ყაჩაღობა (სსკ179) და სხვა. არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელიც ასეთ სიმძიმის დანაშაულს ჩაიდენს, არ უნდა იქნეს ჩართული განრიდება ან განრიდება მედიაციის პროგრამაში. ვინაიდან ასეთი ბრალდებულები მიუხედავად მათი არასრულწლოვნებისა საზოგადოებისთვის მაინც საშიშები არიან. გარდა ამისა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეც იზრდება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში თუ არასრულწლოვანს ჩადენილი აქვს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

საქართველოს პროკურატურა მუდმივ რეჟიმში აწარმოებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს. მათ მიერ ჩატარებული ყოველწლიური ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2010 წლიდან - 2017 წლამდე სულ განრიდება 1753 არასრულწლოვანი. მათგან 2 განრიდება 2010 წელს, 81-2011წელს, 125 - 2012წელს, 331 - 2013წელს, 203 - 2014წელს, 296 - 2015 წელს, 462 - 2016 წელს, ხოლო 253 - 2017წლის პირველ 6 თვეში. ამავე ანგარიშის მიხედვით 2016 წელს სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო 203 არასრულწლოვნის მიმართ,

⁶¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი თბ., 2015წ. მ. 40 <https://matsne.gov.ge>

რომელთანაგანაც 156 პირს ქონდა ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული. ამ პირებიდან მხოლოდ 83 მათგანი აკმაყოფილებდა განრიდების პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს. თუმცაღა ძირითად შემთხვევებში პროკურორი განრიდების გამოყენებაზე უარს ამბობს შესაბამისი დასაბუთებით, რასაც უმეტესად სასამართლოც იზიარებს. სასამართლოს მიერ 2009 წელს პატიმრობა შეეფარდა არასრულწლოვანთა 42.6%-ს, 2010 წელს - 39.7%-ს, 2011 წელს - 24.6%-ს, 2012 წელს - 21.6%-ს, 2013 წელს - 11.1%-ს, 2014 წელს - 12.5%-ს, 2016 წელს - 4.1%-ს, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - 6.9%-ს.⁶²

2.3. დაპატიმრების, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ეფექტურობის პრობლემა

საქართველოში დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცედურა საკმაოდ რთულია და ძალიან ხშირ შემთხვევებში სერიოზული პრობლემების წინაშე დგება როგორც სასამართლო ისე საგამოძიებო ორგანოები. განსაკუთრებით დიდი პრობლემებია პატიმრობასთან დაკავშირებით. რადგანაც პატიმრობა, როგორც არაერთხელ აღინიშნა ეს არის აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის კანონიერებას. ვინაიდან ბრალდებულ პირს ეზღუდება უფლებები მისი პატიმრობაში ყოფნის დროს, ეს შეზღუდვა უნდა მოხდეს კანონის საფუძველზე და არ უნდა დაირღვეს მის მიმართ როგორც უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე სხვა რიგი უფლებები რომელიც კანონმდებლობით გააჩნია.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრობის შეფარდება ხდება სრულიად უსაფუძლოდ, ყოველგავრი დასაბუთების გარეშე.

⁶² საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში. 19 ივლისი. 2017 წელი. გადამოწმებულია 15.05.2019 <http://pog.gov.ge>

მაგალითად ახალციხის რაიონულ სასამართლოში 2007 წლის 3 ნოემბერს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე #16070211 საქმეზე მალხაზ უუუუნაძის მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შენახვის ფაქტზე. გამომძიებელმა ზ. ტაბატაძემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მ. უ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ, რასაც ასაბუთებდა იმით რომ მ. უ.-ე არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან და რაკი მას ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა, მკაცრი სასჯელის დანიშვნის შიშით, არსებობდა მისი მიმალვის ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე. სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა.⁶³ ამ კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე შეგვიძლია ვისაუბროთ პროკურორის მიერ დაუსაბუთებელ შუამდგომლობაზე და სასამართლოს მიერ არაკანონიერად შეფარდებულ პატიმრობაზე. ვინაიდან აღნიშნული დასაბუთება არანაირად არ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რაც კანონმდებლობით გვაქვს განერილი პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში. ის ფაქტი რომ ბრალდებული არ თანამშრომლობს სასამართლოსთან და არ აღიარებს დანაშაულს ვერანაირად ვერ იქნება პატიმრობის დანიშვნის საფუძველი. რადგანაც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით ბრალდებულს შეუძლია გამოიყენოს დუმილის უფლება და არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ (სსსკ-ის 15 მუხლი). გარდა ამისა, პირის მიმალვის საფრთხეც საერთოდ არ არის დასაბუთებული. ბრალდებულის მიმალვის საფრთხე მეტნაკლებად ყოველთვის არსებობს, თუმცა ასეთი საშიშროების შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონკრეტული საქმის ყველა გარემოება. ცხადია მიმალვის ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლებელია იყოს მოსალოდნელი მკაცრი სასჯელი, თუმცა ევროსასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირს შეიძლება შეეფარდოს მკაცრი სასჯელი არ უნდა დაედოს საფუძვლად პატიმრობის ვადის გაგრძელებას.⁶⁴

⁶³ სისხლის სამართლის საქმე <http://humanrights.ge> გადამოწმებულია 28.05.2019

⁶⁴ „მატცნეტერი ავსტრიის წინააღმდეგ“, საქმეზე ევროსასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ევროსასამართლოს ეს პოზიცია ემყარება იმის ვარაუდს, რომ შესაძლოა არსებობდეს გარემოებები, რაც დაადასტურებს რომ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და შემდგომში ამ სიმძიმის მიხედვით დანიშნული სასჯელის შიშით არ დაემალება გამოძიებას. გარემოებებში ასახელებს ოჯახურ მდგომარეობას, განსაკუთრებულ ხასიათს, ზნეობას, თუ ვალდებულებას ან ქონებრივ მდგომარეობას და სხვა. აქედან გამომდინარე საქმეზე უნდა შეფასდეს ყველა ფაქტორი პირის მიმალვის საფრთხის, წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობაში იმაზე მითითება, რომ ბრალდებული შესაძლოა გამოძიებას დაემალოს ვერ მოვა შესაბამისობაში ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკასთან.⁶⁵

რაც შეეხება ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, იგი რათქმუნდა შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახელ პატიმრობის გამოყენებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე მართლაც რეალურია. ამ საფუძვლით პატიმრობის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოება. განსაკუთრებით კი ბრალდებულის პიროვნება, მისი წარსული, რა დამოკიდებულებაშია დანაშაულთან და სხვა რიგი ფაქტორები. თუ არ იქნება ეს გარემოებები გათვალისწინებული მაშინ მხოლოდ იმის მითითება რომ პირმა შესაძლოა ჩაიდინოს ახალი დანაშაული არ არის პატიმრობის დანიშნის საფუძველი.

აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია გავეცნოთ კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ გელა ბადრიაშვილმა განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე, ზეპირი მოსმენით, ბრალდებულ გ.ზ.-ს და მისი ადვოკატის მ.ბ.-ს საჩივარი ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ. გიგიტაშვილის 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინებაზე, ბრალდებულ გ.ზ.-ს მიმართ შერჩეულ აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით. 2014 წლის 14 დეკემბერს გ.ზ.-ს ბრალდება

⁶⁵ რედ. ჯ. ვახოკიძე. მ. მამნიაშვილი. ირ. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი. მესამე გამოცემა. თბ., გამომც., „იურისტების სამყარო“, 2015. გვ. 243-245

წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც გულისხმობს წარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვას. იმავე დღეს პროკურორმა ხაჩიძემ შუამდგომლობით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს და ითხოვა ბრალდებულ გ.ზ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. აღნიშნული შუამდგომლობა სრულიად დააკმაყოფილა მოსამართლემ და ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა. აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრეს ბრალდებულმა გ.ზ.-მ და მისმა ადვოკატმა, რომლებიც ითხოვდნენ ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინების გაუქმებას და ბრალდებულ გ.ზ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. საჩივარში მითითებულია, რომ სასამართლოს მიერ ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება არაკანონიერია, ვინაიდან არ არსებობს სახეზე ის გარემოებები, რომლებიც პატიმრობის დასანიშნად არის გათვალისწინებული. სახეზე არ გვაქვს ბრალდებულის მიმალვის საფრთხე, ბრალდებულმა მოინანია თავისი საქციელი, თანამშრომლობდა საგამოძიებო ორგანოებთან, დროულად ცხადდებოდა სასამართლოში, საქმეზე ფაქტიურად დამთავრებული იყო გამოძიება და არ არსებობდა მტკიცებულების მოპოვებაში ხელის შეშლის საფრთხე. ბრალდებულს არასოდეს უცდია მიმალვა და მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ქვეშ იმყოფებოდა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული საჩივარი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ დააკმაყოფილა და აღნიშნა: პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულ გ.ზ.-ს მიმალვის, მტკიცებულებათა მოპოვებისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლის, მომავალში დანაშაულებრივ საქმიანობაზე ხელის აღების ერთადერთი საშუალება იყო პატიმრობის გამოყენება, რასაც სააპელაციო სასამართლო არ ეთანხმება. იმისთვის რომ პატიმრობა იქნეს გამოყენებული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მყარ არგუმენტაციას, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს. აღნიშნულ საქმეში აღკვეთის ღონისძიების მიზნების

უმრუნველყოფა შესაძლებელია არასაპატიმრო ღონისძიებით, მაგალითად გირაოს გამოყენებით.⁶⁶

ამ კონკრეტულ საქმეშიც ვანყდებით პრობლემას. რადგანაც საქმის გარემოებებიდან ირკვევა რომ ბრალდებულ გ. ზ.-ს ხაშურის რაიონულმა სასამართლომ უკანონოდ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. რეალურად არ არსებობდა მისი დანიშვნის არცერთი საფუძველი. შესაბამისად გამოდის რომ ბრალდებული იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში და დაირღვა მისი უფლებები. რაც დაუშვებელია როგორც კონსტიტუციით, ასევე საპროცესო კანონმდებლობით.

სასამართლო პრაქტიკაში ძალიან ბევრი უკანონო გადაწყვეტილება მოიპოვება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. რადგანაც აღკვეთის ღონისძიების საკითხი ყოველთვის პრობლემურია. ხშირ შემთხვევაში იმის გამო რომ საქმე სწრადა იქნეს გამოძიებული და დახურული ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებენ როგორც საგამოძიებო დანაყოფები ასევე სასამართლო. გარდა ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია ის ვადები, რასაც კანონმდებლობა გვინებს პირის ბრალდებულად ცნობის და შემდგომში მისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 196 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით „ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა“, ხოლო „დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.“⁶⁷ კანონის ეს ნორმა ემყარება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მოთხოვნებს, შესაბამისად, ამის არ შესრულება ან სხვაგვარად გამოყენება დაუშვებელია.

⁶⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება. =1-გ/1282. გადამოწმებულია 29.05.2019

⁶⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ., 2009 წ. მ. 169 <https://matsne.gov.ge>

სწორედ აქედან გამომდინარე კანონმდებელი უნესებს გამოძიებას 48 საათიან ვადას რათა მოხდეს შესწავლა და შეფასება ყველანაირი გარემოებების, შუამდგომლობა აღიძრას სასამართლოს წინაშე და განხილულ იყოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე საკითხი სასამართლოში. მიუხედავად იმისა რომ ერთი შეხედვით ეს დრო თითქოსდა საკმარისია ყველა გარემოების გამოსაკვლევად. პრაქტიკაში ამ კუთხით ერთგვარ გაუგებრობას აქვს ადგილი, როცა გამომძიებელმა (პროკურორმა) 48 საათის განმავლობაში შეაასრულა კანონით გათვალისწინებული პროცედურა, მაგრამ შუამდგომლობის შეტანა სასამართლოში განსაზღვრულ ვადაში ვერ მოახერხა სხვადასხვა მიზეზების გამო. მაგალითად, სამუშაო საათები უკვე დასრულებული იყო, შესაბამისად მოსამართლე არ იმყოფებოდა ადგილზე. ასეთი შემთხვევები ძირითადად ღამის საათებში ხდება. გარდა ამისა შეიძლება მოსამართლე ჯანმრთელობის გაუარესების გამო არ იმყოფებოდეს ადგილზე და სხვა უამრავი ობიექტური მიზეზი შეიძლება იყოს. როდესაც ასეთი შემთხვევები გვაქვს გამოძიების ორგანო იძულებულია შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სასამართლოს ჩააბაროს გვიან, რაც ზოგჯერ დროში იმდენად განელილია, რომ მოსამართლეს შუამდგომლობის შესასწავლად და ყველა პუნქტის გასათვალისწინებლად ძალზე ცოტა დრო რჩება. მაშინ როცა კანონის მოთხოვნა იმპერატიულია და მიუთითებს 48 საათის განმავლობაში შუამდგომლობის შეტანაზე, ხოლო ამ ვადის დარღვევა იწვევს დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ისმის კითხვა, ხომ არ გახდება შუამდგომლობის სასამართლოში შეუტანლობა დაკავებულის გათავისუფლების საფუძველი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ კონსტიტუციური ნორმით გათვალისწინებულია ყველა პროცედურის ჩატარების 72 საათიანი ვადა, თუ ეს ვადა დაცული იქნება, მოსამართლეს რატომ არ შეუძლია 48 საათის გასვლის შემდეგ განხილოს შუამდგომლობა თუ 72 საათიან ვადას დაიცავს და არ გადაააცილებს? სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ისეთი შუამდგომლობები, რომლებიც

შუამდგომლობის შეტანის ვადის ამოწურვის შემდეგ არის წარდგენილი და მოსამართლის მიერ განხილული იყო მეორე დღეს 72 საათის ფარგლებში.⁶⁸

გარდა ამისა ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავ პრობლემას შეიძლება გადავანყდეთ. მაგალითად ყურადსაღებია ისეთი შემთხვევებიც როდესაც მოსამართლემ შუამდგომლობის განხილვა დაიწყო მისთვის განკუთვნილ ვადაში, მაგრამ საქმის სირთულისა და მოცულობის, ან ბრალდებულთა მრავალრიცხვიანობის გამო ვერ დაასულა კანონით გათვალისწინებულ 72 საათის განმავლობაში. ასეთ დროს იქმნება პრობლემა, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ, გაათავისუფლოს ბრალდებული ან ბრალდებულები თუ დატოვოს პატიმრობის ქვეშ. კანონმდებლობის მიხედვით 72 საათიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლეს დაკავებული და თუ არსებობს საფუძვლები დაენიშნოს სხვა აღკვეთის ღონისძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა როგორც საპროცესო კანონმდებლობა ასევე კონსტიტუციით გასაზღვრული ვადები. ძალიან ხშირად ასეთი სიჩქარით მიღებული გადაწყვეტილებები მოსამართლის მხრიდან უამრავ პრობლემებს წარმოქმნის. ვინაიდან შესაძლებელია მოსამართლემ სიჩქარეში დაუშვას ისეთი გამოუსწორებელი შეცდომა, როგორცაა მაგალითად ისეთი პირის დაკავება რომლის მიმართაც არ არის შეკრებილი საკმაოდ მტკიცებულებები, ან პირიქით პატიმრობიდან გაათავისუფლოს ისეთი პირი, რომელსაც ჩადენილი აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და რომლის მხრიდანაც მოსალოდნელია ახალი დანაშაულის ჩადენა. რათქმაუნდა ასეთი მიდგომები უარყოფით ზეგავლენას მოახდენს სისხლის სამართლის საქმეზე სრულყოფილ და ობიექტურ მართლმსაჯულების განხორციელებაზე. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაკარგავს თავის მიზანს და დანიშნულებას, პრაქტიკაშიც არაერთი მაგალითი გვხვდება.⁶⁹ მაგალითად „2003 წლის 25 მარტს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ერთ დღეში განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის

⁶⁸ ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003. გვ. 56-58

⁶⁹ იქვე, გვ. 59

გამომძიებლების შუამდგომლობა, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდებისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 18 პირის მიმართ, აღნიშნულ საქმეში 3 პირი წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა ხოლო დანარჩენი 15 პირი პატიმრობაში დატოვა.⁷⁰

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმიდან რომ ვიმსჯელოთ, ასეთ მოკლე დროში მოსამართლემ განიხილოს 18 პირის მიმართ ყველა მტკიცებულება, შეათვასოს გარემოებები, მოისმინოს მხარეთა მოსაზრებები და ბოლოს მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ძნელად დასაჯერებელია. ვინაიდან მრავალბრალდებულებიანი და მრავალეპიზოდური საქმეები სირთულის მხრივ უფრო გამოირჩევა სხვა საქმეებისგან, შესაბამისად მოსამართლეს უფრო მეტი დაკვირვება სჭირდება აღნიშნულ საქმეებზე, რათა გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება და არ დაუშვას ისეთი შეცდომები რაზეც ზევით ვისაუბრეთ.

პრაქტიკოსი იურისტები ასეთ შემთხვევებში სწორად მიიჩნევენ რომ კანონმდებელმა დააწესოს მოსამართლის მიერ საქმის განხილვის 24 საათიანი ვადა, ხოლო შემდეგ გადაწყვეტილების მისაღებად დაენიშნოთ გონივრული ვადა, რათა უკეთ იყოს შესწავლილი ყველა გარემოება, გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული და არ დაირღვეს მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპი. აღნიშნულთან დაკავშირებით პროფესორი ვენედი ბენიძე თავის ნაშრომში მიუთითებს: იმისათვის რომ არ დაირღვეს მართლმსაჯულების პრინციპები და გადაწყვეტილება დაეფუძნოს კანონს და სამართლიანობას, საჭირო იქნება კონსტიტუციური ცვლილება ვადებთან დაკავშირებით, ის მიიჩნევს რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ჭეშმარიტი სამართლიანობის დამკვიდრებისთვის დროული და სწორი მიდგომა იქნება.⁷¹

რათქმუნდა თუ არსებობს იმის საფუძველი რომ შეიძლება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში აღნიშნულმა ვადებმა ხელი შეუშალოს, ერთის მხრივ გონივრული ვადის დანესება სწორი მიდგომაა. ვინაიდან

⁷⁰ სისხლის სამართლის საქმე № 01გ/-469; იხ. ვ. ბენიძე დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003, გვ. 59-60

⁷¹ ვ. ბენიძე. დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003, გვ. 60-61

სიჩქარეში მიღებული გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში ნამდვილად წარმოადგენს პრობლემას. მაგრამ როცა კანონმდებლობა მოსამართლეს ავალდებულებს კონკრეტულ ვადებში ყველაფრის შესწავლას მას სხვას გზა არ რჩება. განსაკუთრებით საყურადღებო მაინც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის დანიშვნაა. ვინაიდან ყველაზე მკაცრი სახის გამოყენებას როგორც ნაშრომში აღნიშნულია აქვს თავისი საფუძვლები და გარემოებები. თუ ყველა საფუძველი არ იქნა შესწავლილი ან გაანალიზებული რითაც მოსამართლემ შემდგომში უნდა იხელმძღვანელოს, მაშინ შეუძლებელია ვისაუბროთ გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

გარდა აღნიშნული პრობლემებისა სერიოზული განსჯის საგანია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაც რომელიც ეხება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით მხარეებს, უფლება აქვთ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქით შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს. ამასთანავე შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის გარემოება, რის საფუძველზე ხდება დანიშნული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება. აღნიშნულს ერთი შეხედვით თითქოს პრაქტიკაში უპრობლემოდ იყენებენ, თუმცა მაინც პრობლემურია როდესაც ახალი არსებითი გარემოების აღმოჩენის მოტივით ადვოკატი შუამდგომლობს სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქით შეცვლის თაობაზე, მაგრამ მოსამართლემ ახალი გარემოების არარსებობის გამო არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა. თუმცა ამის მიუხედავად ადვოკატმა მოსამართლის უარი მაინც გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, სადაც დამატებითი ცნობები წარადგინა ბრალდებულის პიროვნებაზე და ეს დაედო საფუძველად სისხლის სამართლის საქმეზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების საფუძვლიანობის შემოწმებას. აქ ვაწყდებით ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე, რომელიც საჩივარს იხილავს გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ, როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება იმ

პერიოდისთვის სრულიად კანონიერი იყო. კერძოდ განიხილოს აღნიშნული შუამდგომლობა და თვითონ მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება ამ პირის მიმართ, თუ გააუქმოს, რაიონული მოსამართლის გადაწყვეტილება ახალი გარემოებების აღმოჩენის გამო და ზუსტად ამავე მოტივით განმეორებით მისცეს მოსამართლეს საშუალება მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფესორ ვენედი ბენიძეს მიაჩნია, რომ თუ მოსამართლე დარწმუნდება ახალი გარემოების არსებობაში, რომელიც გამოწვევს აღკვეთის ღონისძიების საფუძვლიანობის გადამოწმებას, მაშინ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება თვითონ ამ მოსამართლემ უნდა მიიღოს და არ უნდა დააბრუნოს საქმე ხალახალი განხილვისთვის, რადგანაც განჩინება რომლითაც გამოყენებული იყო მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიება პირის მიმართ, ვეღარ ჩაითვლება კანონიერად სწორედ მოპოვებულ და სასამართლოს მიერ ახალ არსებით გარემოებათა გამო. მართალია აღკვეთის ღონისძიების გამომყენებული მოსამართლისთვის არ იყო ცნობილი ეს ახალი გარემოება და რომ სცოდნოდა შესაძლებელია სხვა გადაწყვეტილება მიეღო, მაგრამ აქ მთავარი ისაა რომ მოსამართლეს რომელსაც გადაეცა ახალ გარემოებების გამოკვეთის გამო კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე მისთვის უკვე ცნობილია ახალი გარემოების არსებობის შესახებ.⁷²

არსებული სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა ერთიანი სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკა ისეთ საკითხთან დაკავშირებით როგორცაა, მაგალითად: პირის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში პროკურომა მიიჩნია რომ საქმის უპერსპექტივობის გათვალისწინებით დაპატიმრებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახე შეეცვალოს უფრო ნაკლებად მკაცრი სახით. რათქმაუნდა სასამართლო შუამდგომლობას აღნიშნული მოტივის საფუძველზე არ დააკმაყოფილებს. ვინაიდან საქმის უპერსპექტივობა არ არის ახალი გარემოება, რომელიც აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი შეიძლება იყოს. შესაბამისად ეს ყოველივე იწვევს იმას, რომ არის თუ არა რეალურად ამის საფუძველი პირი მაინც პატიმრობაში რჩება ვადის ამოწურვამდე. არსებული მიდგომა ვერ იქნება სამართლიანი, ვინაიდან თუ

⁷² ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003, გვ. 76-80

მიზნების მიღწევა შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების ნაკლებად მკაცრი სახის დანიშვნით, არ უნდა იქნეს გამოყენებული პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე. განსაკუთრებით მაშინ თუ არ არსებობს პატიმრობის დანიშვნის არცერთი საფუძველი. შესაბამისად ასეთ ვითარებაში შესაძლებელია ბრალდებული უსაფუძვლოდ აღმოჩნდეს პატიმრობაში და არაკანონიერად შევზღუდოს თავისუფლება.

აღნიშნული პრობლემები კიდევ უფრო მცირედია, ვიდრე რეალურად სასამართლო პრაქტიკაში არსებობს. სწორედ ამგვარმა მიდგომებმა განაპირობებს იმ არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება რაც სასამართლო სისტემაში არსებობს აღკვეთის ღონისძიების დანიშვნასთან დაკავშირებით.

2.3.1. სასამართლო პრაქტიკა

სასამართლო სისტემაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება, მიუხედავად იმისა რომ წლებია ხორციელდება მაინც არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა და ყოველთვის ვანყდებით უამრავ პრობლემას. განსაკუთრებით პრობლემურია აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახის პატიმრობის გამოყენება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყოველ წლიურად 2011 წლიდან მოყოლებული დღემდე ატარებს მონიტორინგის ანგარიშს. ის პრობლემები რომლებსაც მონიტორინგის ანგარიში ავლენს ეხება მოსამართლის ფორმალურ ან არასაკმარის როლს ადამიანის უფლებების დაცვაზე სასამართლოს კონტროლის განხორციელების დროს. ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოარკვია შემდეგი გარემოებები: მოსამართლე ნაკლები გულმოდგინებით ეკიდება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების და მისი პერიოდული გადასინჯვის საკითხს თითქმის ყველა შემთხვევაში პატიმრობას უცვლელად ტოვებს, ხოლო უმეტეს შემთხვევაში არ ასაბუთებს პატიმრობის ვადის გაგრძელების აუცილებლობას. გარდა ამისა ძირითად შემთხვევებში სასამართლო აღკვეთის ღონისძიების სახით იყენებს პატიმრობას, ხოლო ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებები ფაქტობრივად საერთოდ არ გამოიყენება. ერთადერთი

გამონაკლისია გირაო, რომელიც პროცენტული მაჩვენებლით არ ჩამოუვარდება პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელს. პროცენტული მაჩვენებელი თითქმის ყოველ წლიურად იცვლება. კერძოდ 2017 წელს პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი იყო 141, თუმცა აქედან დაუსაბუთებელი აღმოჩნდა 17 (12%) შესაბამისად არ იყო გამოყენებული, როგორც უკიდურესი საშუალება. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული გამოწვეულია აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების დაუსაბუთებლობით. ხშირია შემთხვევები როცა პროკურატურა დაუსაბუთებლად ითხოვს პატიმრობის შეფარდებას, რასაც სასამართლო აკმაყოფილებს. თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევები როცა კანონის ნაკლოვანების გამო უწევს სასამართლოს დანიშნოს ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, რაც გამოწვეულია ალტერნატიული ღონისძიების არასაკმარისი რაოდენობით. სწორედ აქედან გამომდინარე ხშირად ბრალდებულის მიმართ გამოიყენება პატიმრობა, როცა ამის საჭიროება რეალურად არ არსებობს. გარდა ამისა აღნიშნულმა მონიტორინგის ანგარიშმა ასევე გამოარკვია, რომ ძალიან მაღალია პროკურორების მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლები. 2016 წელთან შედარებით 2 ერთეულით არის გაზრდილი 2017 წელს და განისაზღვრა 45%-ით. სასამართლოს პროკურატურის შუამდგომლობები პატიმრობის ნაწილში 75%-ის შემთხვევაში დააკმაყოფილა. სასამართლოსა და პროკურატურის დამოკიდებულებისა და მიდგომებიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება რომ სასჯელის სიმკაცრე და დანაშაულის სიმძიმე ისევ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების სახეთ პატიმრობის დანიშვნის საფუძველს. რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან. აქვე პრობლემები გამოიკვეთა პატიმრობის გადახედვასთან დაკავშირებით. საიას ჯგუფი დაესწრო 116 წინასასამართლო სხდომას, სადაც აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი განიხილებოდა. სასამართლომ პატიმრობა 106 (91%) შემთხვევაში უცვლელად დატოვა. აქედან 69 (65%)

შემთხვევაში სასამართლომ სხდომაზე არასაკმარისად ან საერთოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი პატიმრობის ძალაში დატოვება.⁷³

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პატიმრობის გამოყენების შემთხვევები, რა დროსაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნულ ღონისძიებას სადამსჯელო ხასიათი ქონდა. სასამართლო ორგანოებს და ბრალდებას ხშირ შემთხვევაში სათანადოდ არ აქვთ გათავისებული, რომ პატიმრობის დანიშნისას მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე ვერ გამოდგება. სწორედ ასეთი დასაბუთებულობის ფონზე ყოფილა ისეთი შემთხვევებიც როდესაც სასამართლოს არ დაუკმაყოფილებია აღნიშნული შუამდგობლობა პატიმრობის დანიშნასთან დაკავშირებით. მაგალითად: ბრალდებულს ბრალი ედებოდა ქურდობაში (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). პროკურორი ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების სახეთ პატიმრობას, იმ მოტივით რომ არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, პირი იყო სასამართლოევი და ასევე არსებობდა მისი მიმალვის საფრთხე, რომელსაც ამყარებდა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ სასჯელის სახეს წარმოადგენდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლო იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური, ასევე ფაქტობრივი საფუძველი. შეკრებილი ინფორმაცია იძლევა იმის საფუძველს, რომ შესაძლოა ბრალდებულმა მართლაც ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული. სახეზეა ახალი დანაშაულის და მოწმეზე ზემოქმედების საფრთხეები, თუმცა ამ საფრთხეების ხარისხი არ საჭიროებს პატიმრობის გამოყენებას. ბრალდებული აღიარებს და ინანიებს, მას ნაკლები მოტივაცია უნდა ჰქონდეს ახალი დანაშაულის ჩასადენად. 2015 წელს დატოვა პენიტენციური დაწესებულება, ეს კვალიფიკაცია განაპირობებს მძიმე სასჯელს, თუმცა წინა დანაშაული 2006 წელს არის ჩადენილი, დიდი დროა მას შემდეგ გასული“. სასამართლომ, მას შემდეგ, რაც

⁷³ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. სისხლის სამართლის მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში. თბ. 2018. გადამოწმებულია 15.05.2019 <https://gyula.ge>

გამოარკვია ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით.⁷⁴

ამის პარალელურად სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროკურატურის არასაკმარისი დასაბუთებისა და გარემოების სათანადოდ შეუფასებლობის მიუხედავად სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახედ მაინც პატიმრობა დანიშნა. მაგალითად: პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში (სსკ-ის 177 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). ბრალდებული ნებაყოფლობით გამოცხადდა სასამართლოში. იგი აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და თანამშრომლობდა გამოძიებასთან. წინათ სასამართლო არ ყოფილა. პროკურორმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. პროკურორიც და სასამართლოც მთავარ საფუძვლად ასახელებდნენ პირის მიმალვის საფრთხეს, ვინაიდან ბრალდებული იყო უცხოელი და შეეძლო თავისუფლად დაეტოვებინა ქვეყანა. აღნიშნული არგუმენტი რათქმუნდა არარელევანტური და უსაფუძვლოა, ვინაიდან ბრალდებული თავისი ნებით გამოცხადდა სასამართლოში. ამასთან მოსამართლეს შეეძლო გამოეყენებინა აღკვეთის ნაკლებად მკაცრი ღონისძიება და დამატებით ღონისძიებად განესაზღვრა პასპორტის ჩამორთმევა, რაც გაანეიტრალებდა მიმალვის საფრთხეს.⁷⁵

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სასამართლოს მიერ მიღებული 50 განჩინება აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით. მათ მიერ გამოკვეულ არც ერთ განჩინებაში აღგილი არ ჰქონია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობაზე უარის თქმას. აღნიშნულ განჩინებებში უმეტეს შემთხვევაში აღგილი ჰქონდა პატიმრობის და გირაოს გამოყენების შემთხვევებს, სხვა ტიპის აღკვეთის ღონისძიებები არ ყოფილა სასამართლოს მიერ გამოყენებული.

⁷⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. სისხლის სამართლის მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში. თბ. 2018. გადამოწმებულია 15.05.2019 <https://gyla.ge>, 29-30

⁷⁵ იქვე, გვ. 31

ამასთან, შესწავლილ განჩინებებში პროკურორის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიების სახეზე შეცვლის ან უარის თქმის პრეცედენტი არ დაფიქსირებულა.⁷⁶

ამავე კვლევაში გამოყენებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიში აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით. ანგარიში მოიცავს ექვსი თვის განმავლობაში პირველი წარდგენის 185 სხდომას. ამ ანგარიშის მიხედვით 185 შემთხვევიდან ბრალდებული არც ერთ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისგან არ გათავისუფლებულა. ამასთან ძირითად შემთხვევებში გამოყენებული იყო პატიმრობა. განჩინებების ანალიზმა გამოკვეთა აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მათ შორის გამოიყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა. ესენია:

- სასამართლოს განჩინების შაბლონური ხასიათი;
- დაუსაბუთებლობა;
- ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობის არ არსებობა.⁷⁷

⁷⁶ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა“, გადამონშეულია 17.05.2019 <http://ewmi-prolog.org>

⁷⁷ იქვე. გვ. 25-26

თავი III კვლევის შედეგები

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ჩატარებულმა კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ აღკვეთის ღონისძიება არის იძულებითი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოში გამოუცხადებლობა, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. პატიმრობა ეს არის, აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი, ყველაზე მკაცრი ზომა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნას აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. პატიმრობის, გამოყენება დაუშვებელია თუ არ არსებობს მისი გამოყენების რომელიმე ზემოაღნიშნული საფუძველი. საფუძვლების არარსებობა კი თავისთავად გამორიცხავს პატიმრობის გამოყენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებული ჩაითვლება უკანონოდ პატიმრობა შეფარდებულად, რაც ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ასევე ქართულ და საერთაშორისო კანონმდებლობას.

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების რამოდენიმე პრობლემა. უპირველესად გამოიკვეთა

სასამართლო პრაქტიკაში ხარვეზი პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ დაუსაბუთებელი შუამდგომლობები უფრო ხშირია ვიდრე არგუმენტირებული და დასაბუთებული, რაც ხშირ შემთხვევაში სასამართლოს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში უშლის ხელს. დაუსაბუთებელ შუამდგომლობაზე დაყრდნობით ხშირია სასამართლო პრაქტიკაში პატიმრობის გამოყენება. პროკურორები უმეტეს შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებენ პატიმრობის გამოყენების მიზნებზე და მხოლოდ კანონის მოთხოვნების ინტერპრეტირებას ახდენენ, რაც ვერ იძლევა დასაბუთებას, თუ რატომ არის აუცილებელი ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება და სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება რატომ ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

გარდა ამისა უამრავი პრობლემები გამოიკვეთა პატიმრობის საერთო 9 თვიან ვადასთან დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევაში პრობლემებს ვაწყდებით ისეთ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელიც თავისი არსით ძალიან რთულია. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ მრავალეპიზოდური და მრავალბრალდებულისანი საქმეები, რომელთა საქმის შესწავლას და გაანალიზებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. პრაქტიკიდან გამოიკვეთა რომ ასეთ სირთულის საქმეებზე 9 თვიანი საპატიმრო ვადა ხშირად საგამოძიებო ორგანოებს არ ჰყოფნით საქმეზე ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩასატარებლად. შესაბამისად მოსამართლეებსაც დაჩქარებით უნევთ საქმის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება. ამგვარმა მიდგომამ კი შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი შედეგები რაც გამოიხატება უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებაში. მოსამართლემ შესაძლებელია გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვას და დააპატიმროს ის პირი, რომლის მიმართაც არ არსებობს პატიმრობის გამოყენების საკმარისი საფუძველი ან პატიმრობიდან გაანთავისუფლოს ისეთი პირი, რომლის მიმართაც არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საშიშროება. ასეთი შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში არც თუ იშვიათია.

კვლევამ ასევე აჩვენა რომ ამგვარი მიდგომები უარყოფით ზეგავლენას ახდენს ზოგადად მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაზე და სამართლებრივ სახელმწიფოს მშენებლობის უაღრესად რთულ პროცესზე.

დასკვნა

ეროვნული კანონდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა, მათ შორის მსგავსება და განსხვავება უფრო ნათელს ხდის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრობლემურობას. როგორც ნაშრომში გამოჩნდა ეროვნული კანონმდებლობა რამდენიმე გარანტიას შეიცავს. რაც ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომის მსგავსად, პირის თავისუფლების სასარგებლოდ არსებულ პრეზუმფციას განამტკიცებს.

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა. პრობლემები ძირითადად ეხება 9 თვიან საპატიმრო ვადას და პატიმრობის დანიშვნის საფუძვლების არარსებობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხებზე არსებობს უამრავი მოსაზრება და შეხედულება სასამართლოში მაინც არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკა. არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად

სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი

ლონისძიებები და თუ არის საშუალება საერთოდ უარი თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე. განსაკურებით მაშინ თუ პროკურატურა ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ზემოთხსენებულ საფუძვლებზე და არა დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელის ზომაზე. ვინაიდან პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების უმკაცრესი ღონისძიებაა, სასამართლო ვალდებულია პატიმრობის დანიშვნამდე კანონით განერილი სტანდარტის ზედმიწევნით დაცვით განიხილოს პროკურორის შუამდგომლობა და მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე დააკმაყოფილოს აღნიშნული შუამდგომლობა.

რაც შეეხება საპატიმრო 9 თვიან ვადას, სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხშირად ეს ვადა საკმარისი არ არის სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადანაცვლების მისაღებად. შესაბამისად არც საგამოძიებო ორგანოებს ჰყოფნით აღნიშნული ვადა საქმეზე ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩასატარებლად. სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია რეკომენდაციის სახით ვისაუბროთ აღნიშნული ვადის გაგრძელებაზე. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში როდესაც მრავალბრალდებულებიანი და მრავალეპიზოდური საქმე აქვს განსახილველი სასამართლოს. რადგანაც, როგორც სასამართლო პრაქტიკიდან ირკვევა ამგავრი საქმეები საკმაოდ შრომატევადია და ბევრ დროს მოითხოვს საქმეზე სრული და ობიექტური გამოძიების ჩასატარებლად.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირებისა, მისი პრაქტიკაში გამოყენების და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართების ანალიზი, განამტკიცებს მოსაზრებას, რომ აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული პრობლემების ძირითადი ნაწილი საკანონმდებლო რეგულირებაზე მეტად, მექანიზმის პრაქტიკულ გამოყენებას უკავშირდება. თუმცა ამის მიუხედავად არის რიგი საკითხები რომლების სწორედ საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს. ასეთია მაგალითად ზემოთ აღნიშნული 9 თვიანი საპატიმრო ვადა, სადაც შესაძლებელია საჭირო გახდეს კონსტიტუციური ცვლილება და აღნიშნული ვადის გაზრდა.

ასეთი მიდგომები გარკვეულწილად ხელს შეუწყობს პრობლემების აღმოფხვრას და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 2015წ.
3. გაეროს გენერალური ასამბლეა. 1985 წლის 29 ნოემბერი. მინიმალური სტანდარტული წესები, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების მიმართ განხორციელების შესახებ. „პეკინური წესები“
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 1998 წ.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009 წ.
6. საქართველოს კონსტრუქცია 1995 წ.

მონოგრაფიები

7. ბენიძე ვენედი. „დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები“
8. გაბისონია იური. „აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში“
9. გახოკიძე ჯემალ, მამნიაშვილი მიხეილ, გაბისონია ირაკლი. „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი“, კერძო ნაწილი.
10. მჭედლიძე ნანა. „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკა.“
11. ფათიაშვილი ლალი და სხვები. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით.
12. ფათიაშვილი ლალი და სხვები. „საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი“, კერძო ნაწილი
13. შალიკაშვილი მორის, მიქანაძე გივი. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“
14. ჯორბენაძე ომარ. „წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები“, (ნაწილი პირველი)
15. ტრექსელი შტეფან სარა ჯ. სამერსის დახმარებით „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“
16. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში. კანონმდებლობა და პრაქტიკის კვლევა.
17. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. სისხლის სამართლის მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში.
18. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. „ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“.
19. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები.

20. შალიკაშვილი მორის, „არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით“.

სასამართლო პრაქტიკა

21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 1გ/1635-16
22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 1გ/1921
23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 1გ/1282
24. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 1გ/386-17
25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება.
=1-გ/1282
26. „ასენოვი ბულგარეთის წინააღმდეგ“ Assenov v. Bulgaria 24760/94 28.10. 1998)
27. „მატცნეტერი ავსტრიის წინააღმდეგ“, საქმეზე ევროსასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება.
28. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 3/2/646
29. სისხლის სამართლის საქმე № 01გ/-469
30. საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში.

უცხოური ლიტერატურა

31. Петрухин И.Л. Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР. Под ред. Савицкого В.Н. М., 1990
32. Уголовн-процес. кодекс. РСФСР. Комментарии. Санкт-Петербург. 1997.
33. Михайлов В.А. Уголовно-процес. меры пресечения в судопроводстве Р.Ф. М.,1997г

ვებ-გვერდები

34. www.matsne.gov.ge
35. www.supremecourt.ge
36. www.pog.gov.ge
37. <http://humanrights.ge/index.php?pid=6858&lang=geo>
38. <https://4u.ge/ka/agkvetis-gonisdziebis-gamoyeneba;>

